726/2 ა/8287

მე-4 და მე-5 გვერდებზე გაეცნობით მესხეთის თეატრს, ახალგაზრდა მხატვარ ნუკრი შავგულიძეს, „ბერლინერ ანსამბლის“ გასტროლებს თბილისში.

წაიკითხეთ!

მე-3 გვერდი მთლიანად პოეზიის დღეს ეძღვნება.

მე-7 გვერდზე გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს დამსახურებულ მხატვარ კობა გურულთან.

მე-6 გვერდზე გაეცნობით გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის ანტონ ბაგრატიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 21 (276) გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 12 ნოემბერი

მოზეიმე მთა-ბარი

7 ნოემბერს ჩვენმა ქვეყანამ 54-ედ იზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღესასწაული.

ზღვა სიხარულს ვერ იტევდა მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და ბაქოს, რიგისა და ტაშკენტის ქუჩები, ზეიმი დაებიჯებდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

რუსთაველის გამზირზე დილის 10 საათზე დაიწყო სამხედრო აღლუმი. ტრიბუნის წინ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს მფრინავებმა და მეზღვაურებმა, მერაკეტეებმა და მესაზღვრეებმა...

საბჭოთა სამხედრო ტექნიკისა და იარაღის ძლიერების მკაფიო დათვალიერება იყო რაკეტების — საბჭოთა არმიის მთავარი დამკვრელი ძალის მარში.

შეწყდა მანქანების გუგუნი და დაფდაფების ხმაზე გამზირზე კოლონები შემოვიდნენ. ალისფერი დროშების ტყემ დაფარა მიდამო. გაისმა მხიარული შეძახილები, სიმღერები.

ფაბრიკა-ქარხნებისა და მშენებლობათა მოწინავე ადამიანებს მოჰქონდათ პლაკატები, რომლებიც ცხადყოფენ ჩვენი სამშობლოს წინსვლას, მიღწევებს, ბედნიერ მომავალს.

ტრიბუნის წინ ჩაიარეს ათასობით მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, მეცნიერებმა, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა.

საოქტომბრო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში რუსთავსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.



სურათებზე: ირაკლი ოჩიაური; „სიყვარული“ — ირაკლი ოჩიაურის ეს ჰედურობა დიდი ხანია ამშვენებს თბილისის ქორწინების სასახლეს.



დიდი აღიარება

ირაკლი ოჩიაურს, საქართველოს დამსახურებულ მხატვარს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ღირსეულად დაფასდა ახალი ქართული ჰედურობის ერთ-ერთი მთავარი ფუძემდებლის, საჩინო და თვითმყოფადი ხელოვანის შემოქმედება.

ქართველ ოქროსმჭანდაკებელს, რომლის შემოქმედებაზე „სამშობლოს“ მკითხველს გასული წლის 11 სექტემბერს მოვუთხრობეთ, სახელმწიფო პრემია მიენიჭა ქალაქ თბილისის ქორწინების სასახლისა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შენობაში ჰედური პანოებისათვის, ქალაქ ოსაკაში „ექსპო-70“ მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონის ჰედური პანოსათვის „მზის მოტაცება“ და „სიმღერა საქართველოზე“ სერიის ჰედური პანოებისათვის.

ვულოცავთ ხელოვანს, რომელიც ახლა შემოქმედებით სიმწიფეშია, ასეთ დიდ აღიარებას. გვწამს, რომ იგი, ოპიზართა ღირსეული მემკვიდრე, კვლავაც გაგვახარებს ახალი შედევრებით.

ქართული კულტურის ზეიმი გერლინში

დასავლეთ გერლინში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დასავლეთ ბერლინის საზოგადოებამ გამართა ქართული კულტურის დღეები. აქ უჩვენეს დოკუმენტური ფილმები საქართველოზე, აგრეთვე მხატვრული ფილმები, მათ შორის „ჯარისკაცის მამა“.

დამთვალიერებლები დიდი ინტერესით გაეცნენ კობა გურულის გამოფენას — „ქართული ჰედურობა“.

ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების დელეგაცია საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე ჟღენტის მეთაურობით.

საქართველოს ჟურნალისტთა მეოთხე ყრილობა

10 ნოემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობა. აქ შეიკრიბნენ გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, რადიოსა და ტელევიზიის, გამომცემლობათა, დეპეშათა საგენტოს მუშაკები, სტუმრები.

ყრილობა გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დავით მჭედლიშვილმა.**

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვასილ მჟავანაძეს.** იგი კითხულობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობისადმი და გულთბილი სიტყვით მიმართავს ყრილობის დელეგატებს.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მუშაობისა და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ჟურნალისტთა ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა **დავით მჭედლიშვილი,** საანგარიშო მოხსენებით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ — მისი თავმჯდომარე, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე **ავაკი ჩავლეიშვილი.**

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

ყრილობამ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო.


დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

აირჩიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა III ყრილობის დელეგატები.

• • •

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი, რომელმაც თავმჯდომარედ აირჩია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი **დავით მჭედლიშვილი,** თავმჯდომარის მოადგილეებად — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი **შალვა უარყარაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **კარლო გარდაფხაძე,** ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორი **შოთა გაგოშიძე.** გამგეობის მდივნად საორგანიზაციო მუშაობაში არჩეულია **ზურაბ გემსახურდელი.**





ესტონეთის კულტურის დღეების საზეიმო დახურვა. სიტყვით გამოდის ამხანაგი ვასილ მჟავანაძე

ესტონეთი — საქართველოს სტუმარი

ქართულ მიწაზე ოქროსფერი შემოდგომაა. ამ ოქროსფერ დღეებში შემოდგომის ბარაქით კალთადამძიმებული, პირმშვენიერი, ხელგაშლილი მასპინძლობდა ჩვენი სამშობლო ძვირფას სტუმრებს — შორეული ესტონეთის ხელოვნების დესპანებს.

სულ ახლახან საქართველოს წარგზავნილებმა დიდი წარმატებით გააცნეს თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ხელოვნება ესტონელებს. ამ სტუმრობას „საქართველოს კულტურის დღეები“ ერქვა. ეს დღეები იყო მეგობრობის, გულითადობის, დიდი გრძნობების დღეები. ასეთი ზეიმი ჩვენს რესპუბლიკასაც ეწვია და მეგობრობის 10 დღე საუკუნო ერთობისა და სიყვარულის საწინდრად იქცა.

სტუმარი ღვთისაა, ამბობენ საქართველოში და მართლაც „ესტონეთის კულტურის დღეებში“ მთელი რესპუბლიკა მასპინძლობდა ჩვენი დიადი ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

დელეგაციას ხელმძღვანელობდა ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვაინო ვიალიასი. მასთან ერთად საქართველოში ჩამოვიდნენ ესტონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე არნოლდ გრენი, კულტურის მინისტრი ალბერტ ლაუსი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი გუსტავ ერნესაქსი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი კარელ ირდი, სოციალისტური შრომის გმირი, ტალინის მანქანათსამშენებლო ქარხნის ბრიგადირი ალფრედ ვალდოვი, ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი არნო კიოორნა, ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკური გაზეთის „რაჰვა ჰიაელის“ რედაქტორი აუგუსტ საარემიაგი.

„ესტონეთის კულტურის დღეები“ 27 ოქტომბერს დაიწყო საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მიხეილ გოგიჩაიშვილმა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მჭედველი, სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვალერი ჭეიშვილი და სხვები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ვაინო ვიალიასმა.

იმავე საღამოს ესტონელ ხელოვანთა მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი.

თბილისიდან ზეიმმა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში გადაინაცვლა. საკონცერტო დარბაზებში გულთბილად ხვდებოდნენ საესტრადო ანსამბლებს „ლაინეს“ „ვირუს“, „მოხუცი თომასის მუსიკოსებს“, ესტონეთის ორკესტრისა და სახელმწიფო ფილარმონიის სასულე კვინტეტის, სოლისტების, თვითმოქმედი ჯგუფების გამოსვლებს. სასიამოვნო იყო სტუმრების სიურპრიზი: ისინი წარმატებით ასრულებდნენ ქართველი კომპოზიტორების — ერეკლე ჭაბადარის, ოთარ თევდორაძისა და სხვათა ნაწარმოებებს.

დიდძალი დამთვალიერებელი ჰყავდათ ფერწერის, გამოყენებითი ხელოვნების, წიგნის გრაფიკის, ფოტოგრაფიის ესტონელ ოსტატთა და მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენებს. ნაყოფიერი გამოდგა ესტონეთის მხატვრული კოლექტივებისა და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენელთა— მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფისტების, თეატრის მუშაკების შეხვედრები საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებთან, სოფლის მშრომელებთან, ტექნიკურ და შემოქმედებით ინტელიგენციასთან.

საუკეთესო ესტონური წიგნის გამოფენაზე ვიხილეთ შესანიშნავად გამოცემული კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“, თამაზ ჭილაძის „თეთრი ბოლი“.

კინოთეატრებში უჩვენებდნენ ესტონურ მხატვრულ ფილმებს: „უქარო ამინდს“, „გლადიატორს“, „ომიპარეს მოხუცი თომასი“, აგრეთვე დოკუმენტურ ფილმებს.

მასპინძლები შეეცადნენ სტუმრებისათვის ეჩვენებინათ საქართველოს ყველა კუთხე. მეგობრობის მარშრუტი მრავალფეროვანი და მდიდარი იყო.

ესტონელებს მასპინძლობდა ალაზნის ველი — ყვარელი და გურჯაანი, თელავი და იყალთო, წინანდალი და ალავერდი, მზიური აჭარა და აფხაზეთი, ქუთაისი და მახარაძე, ცხინვალი და ჭიათურა, სამტრედია და თერჯოლა... ყველგან, სადაც კი ფეხს დაადგამდნენ ჩვენი სტუმრები, კეთილი ღიმილი, სიყვარული და პატივისცემა ხვდებოდათ.

„ესტონეთის კულტურის დღეების“ მონაწილეთა მოზრდილი ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

4 ნოემბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში საზეიმოდ დაიხურა ესტონეთის კულტურის დღეები. საღამოზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ აღნიშნა: ეს ათი დღე გადაიქცა ესტონელი ხალხის კულტურის შესანიშნავი მიღწევების ნამდვილ დათვალიერებად, საშუალება მოგვეცა უფრო ახლო გავცნობოდით ჩვენი ესტონელი მეგობრების ისტორიას, ცხოვრებას, ეკონომიკასა და კულტურას. ამ ათმა დღემ ხელი შეუწყო ჩვენი ორი ხალხის — ესტონელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის კიდევ მეტად განმტკიცებას.

10 დღე გმირის ქალაქში



იტალიელი პარტიზანები სტუმრად ფორე მოსულიშვილის დედასთან — ქალბატონ თამბროსთან.

იოსებ დავითაშვილის ფოტო

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს იტალიის ქროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის სახელს. ალბათ, ისიც ახსოვს („საშშობლო“ № 4 1970 წელი, №№ 6 და 7, 1971 წელი), თუ რა დიდი ამაგი დასდეს ჩვენს თანამემამულს ცნობილმა იტალიელმა პარტიზანებმა ერალდო გასტონე, ჩინო მოსკატელიმ, ალბინო გალეტიმ („კაპიტანი ბრუნო“), მაურო გალენიმ და სხვებმა, როდესაც იგი დაღუპვიდან 25 წლის შემდეგ იტალიის მთავრობის უმაღლეს ჯილდოზე — „ომრის ვარსკვლავი მხედრული გამაცობისათვის“ — წარადგინეს.

და აი მადლიერმა ქართველმა ხალხმა მს ადამიანებს — ფორე მოსულიშვილის პარტიზანული მეთაურები და თანამებრძოლები, გმირის სამშობლოში მოიწვიეს. თერთმეტმა იტალიელმა პატრიოტმა იტალიის პარლამენტის დეპუტატის, კომუნისტ ერალდო გასტონეს ხელმძღვანელობით ათი დღე დაჰყო საქართველოში.

საქართველოში ყოველდღიურად უამრავი სტუმარი ჩამოდის. ჩემი სამშობლოს კარები მუდამ ღიაა მეგობრისა და მოკეთისათვის. ქართველ კაცს ოდითგანვე მოსდგამს სტუმრის პატივისცემა და სრული ჭეშმარიტებაა, როცა ამბობენ, მისი სიამოვნებისათვის უკანასკნელ ხალათს დათმობსო.

ბევრი სასურველი სტუმარი მინახავს, მათ შორის ბევრი — მაღალი რანგისაც. ბევრჯერ გყოფილვარ მოწმე და მონაწილეც მათი ღირსეული დახვედრა-გაცილებისა, მაგრამ ის, რაც ჩვენმა ხალხმა ამ დღეებში საქართველოში ჩამოსულ ყოფილ იტალიელ პარტიზანთა პატივისცემად გააკეთა, ბევრისმნახველ ქართველ კაცსაც გააკვირვებდა.

რა თქმა უნდა, მარტო ლაზათიანად გაშლილ სუფრებსა და ათასგვარ საჩუქრებს როდი ვგულისხმობ, არც უამრავ შეხვედრასა და საღამო-კონცერტებს, მათთვის რომ გაიმართა. მხედველობაში მაქვს ის უაღრესად დიდი გულწრფელობა და ხალისი, რომლითაც ამ სუფრებს შლიდნენ, ის სიყვარული და კეთილი გრძნობები, რასაც ამ საჩუქრებში აქსოვდნენ, გულის სიღრმიდან ამოღებული ის ხალასი სიტყვები, მათ რომ მიმართავდნენ.... რამდენი სითბო და ალერსი იგრძნობოდა მასპინძელთა თვალებში... ბავშვებიც კი, სულ ცეროდენა ბავშვები, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში იქნებოდა ეს, თუ ქვემო მაჩხაანსა და ზუგდიდში, ალღოთი გრძნობდნენ ამ ადამიანების მიმართ რაღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი პატივისცემის საჭიროებას და ამას, გარდა ცოცხალი ყვავილების თაიგულებსა, ცეკვასა და სიმღერაში, გაღიმებასა თუ გამოხედვაში მეტი ცივცხლისა და ხალისის, სითბოსა და სიყვარულის შეტანით გამოხატავდნენ.

არასოდეს დამავიწყდება ერთი ასეთი შეხვედრა. იმ საღამოს საქართველოს ტელევიზიით გამოვდიოდით. მასპინძლებმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, ომის ვეტერანმა თბილისის სექციის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ ჯანჯღავამ, სტუმრები ქართველ ტელემაყურებელს წარუდგინეთ. შემდეგ იტალიელებმა აღფრთოვანებით ილაპარაკეს იმ დიდ შთაბეჭდილებებზე საქართველოში რომ მიიღეს. გადაცემა 35 წუთს გაგრძელდა.

როდესაც ტელევიზიის შენობას ვტოვებდით, კარებში ერთი სანდომიანი დარბაისელი ქალი შემოგვხვდა, გვერდზე გამიხმო და საკმაოდ აღელვებულად მომმართა:

— როდესაც ტელევიზიით ეს გადაცემა დაიწყო და ქართველი ხალხის მიმართ ამ ადამიანთა ამაგი და დამსახურება გავიგე, გულმა არ მიმითმინა, მანქანის საჭეს მივუჯექი, და, როგორც ხედავთ, აქ გავჩნდი. კიდევ კარგი, დროზე მოგისწარით. ახლა თქვენი დახმარება მჭირდება, გვსვენებით, უარი არ მითხრათ — ეს ხალხი, სტუმარიც და მასპინძელიც, აქედანვე ჩემთან, ჩემს ოჯახში უნდა წავიყვანოთ!

— კი მაგრამ, ქალბატონო... — დაბნეულად დავიწყე მე.

— არავითარი „კი მაგრამ“, ამ საღამოს სადღაც ხომ უნდა ივახშმოთ, ნუ გეშინიათ, არ შეგარცხვენთ, ნურც სიმრავლისა მოგერიდებათ, ნახევარ საათში სუფრას გაგიშლით. უფრო სწრაფად მგონი ვერც რესტორანში მოგემსახურებიან.

უცნობი მანდილოსანი დაჟინებით მთხოვდა მისი სურვილი სტუმრებისათვის გამეცნო. ასეც მოვიქეცი. რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა, პირიქით, მადლობის მეტი რა გვეთქმოდა, მაგრამ იმ საღამოს ჩვენი სტუმრები ზუგდიდში მიემგზავრებოდნენ, ბილეთები აღებული ჰქონდათ, მთელი დღის დაღლილ-დაქანცულთ (ტელევიზიაში პირდაპირ გორიდან მოვედით, სადაც სტალინის სახლ-მუზეუმი დავათვალიერეთ) სასტუმროში უნდა შეველოთ, ხელ-პირი დაებანათ, ბარგი ჩაეწყოთ...

შევეცადეთ დაგვერწმუნებინა ქალბატონი, რომ მისი მეტად სასიამოვნო წინადადების მიღება ამჯერად შეუძლებელი იყო. რა გაეწყობათ, ისე შემთხვევა, რომ ვიგრძენი, დამნაშავედ მე მთვლიდა. ერთიც მკითხა — უბრალოდ ხომ არ იქნება ცოტა ხანში სასტუმროში მოგაკითხოთო.

მართლაც, ერთი საათიც არ გასულა, რომ სასტუმრო „ივერიაში“, მეთექვსმეტე სართულზე, საბანკეტო დარბაზში, სადაც ის იყო ვახშამს ვამთავრებდით, კარზე დააკაკუნეს. დარბაზში საჩუქრებით ხელდამშვენებული ორი ქალი შემოვიდა. ერთი მათგანი ჩვენი „ძველი“ ნაცნობი იყო. ბოდიში მოიხადა, მარტო ვერ ვზიდე და მეგობარს ვთხოვე დახმარებოდა. ძვირფასი სტუმრების საკადრისი ამ ღამით, ასე უცბად რა უნდა მეშოვნა, მაგრამ ვიმედოვნებ, კეთილი გულით მოძღვნილს არ დამიწუნებთო. ამ სი-

(დასასრული მე-7 გვერდზე)

პოეზიის დღე — რუსთაველის დღე

პოეზიის დღე — რუსთაველის დღე, ასე ჰქვია დღესასწაულს, რომელიც ტრადიციად იქცა ჩვენში და რომელიც ორ კვირას გრძელდებოდა საქართველოში.

პოეზიის დღესასწაულის ბოლო აკორდი იყო 29 ოქტომბერს მწერალთა სასახლის კლუბში გამართული საღამო, სადაც თავი მოიყარეს ლექსის გამოჩენილმა ოსტატებმა, მკითხველებმა, მსახიობებმა, კულტურის მოღვაწეებმა, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ლექსი, პოეზია.

დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ლექსს, ზოგს ახალს, ზოგს — ძველს. მათი ავტორები, უმეტესად ახალგაზრდები, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები არიან. ზოგი უკვე აღიარებული პოეტია, ზოგიც ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს პოეზიის გზაზე. მაგრამ ყველას ერთი ლამაზი გრძნობა — სამშობლოს სიყვარული აერთიანებს.

ყვავილთ ქება

ამ შემოდგომაზე ყვავილების დიდ მესაიდუმლეს მიხეილ მამულაშვილს 98 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ ლექსს, რომელიც მხცოვან ხელოვანს, სახელოვან მამულიშვილს სიყვარულით მიუძღვნა მისმა თანამოქალაქემ, მცხეთელმა ინჟინერმა ვალერიან მამუკელაშვილმა.

— ედემის ბაღში სტუმრად შემოსულს,
მითხარი ერთი, მოხუცო, კიდევ,
ამ ნანგრევებმა მწვანე ფათალო,
მხრებზე როგორღა გადაიკიდეს.
ან გადამწვარზე, ნამდუღარევზე
ვით ამოვიდა ლურჯი ღიღილო?!
— ასე ყოფილა დასაბამიდან —
სიკვდილს სიცოცხლე ამარცხებს, შვილო!
— ციხის კედლებზე, პიტალო კლდეზე,
მითხარი, ხავსმა ვით გაიხარა?!
— ხავსი კი არა, გმირთა ბექთარი
ციხემ სახსოვრად გულს დაიყარა.
— ყაყაჩოს, გიშრის წამწამებიანს,
რიღასთვის გასდევს ზოლი ფერადი?!
— ეგ სისხლი არის! — ქართველ ვაჟკაცებს
შემოაწითლდათ ომში პერანგი.
— ამ ია-იამ ლამაზ ქათიბზე,
მითხარ, სიშავე რად დაიხატა?!
— ეგ დედა არის! — შვილი მოუკლეს
და შავი კაბა არ გაიხადა.
— ამ ვარდის ბუჩქებს, მიმწუხრის ჟამსა
რატომ ჩამოსდით ცრემლი ცვარობით?!
— ვარდი კი არა, ეს ორი ბუჩქი
ეთერია და აბესალომი.
— ყვავილთაც უყვართ გმირთა საფანე,
სვეტიცხოველთან მოვიდნენ მიტომ?!
— ბორბალოს მთიდან ფსოუს ხევამდე
ეს საქართველო ბაღია თვითონ!
— ამ სატაცურმა მწვანე ფოთლები
პერზე რიღასთვის ჩამოიფარა?!
— ეგ ნიჩო არის, გული მოუკლეს
და თმა სიმწარით ჩამოიშალა!
— იასამნებთან ხელგადახვევით,
ვაზი რად ხარობს ყვავილთა შორის?!
— ქართველ კაცისთვის ვაზია მუდამ
სალამაზის და სიტკურფის სწორი.
— ჯვრის მონასტერი განთიადისას
რატომ ჩამოდის ჩრდილებად ბაღში?!
— მზის სიცხისაგან ყვავილებს იცავს,
იმიტომ შეკრა კამარა ცაში!
— გაზაფხულობით ყვავილობამდე
ვაზმა რად იცის ცრემლების ფრქვევა?!
— ურჯულოთაგან გაკაფვის შემდეგ
ასეთი შერჩა რატომღაც ჩვენა!
— მაშ ვაზმაც იცის წუხილი, ურვა,
ცრემლით და მოთქმით შემოძახილი?!
— საქართველოში ბალახსაც ახსოვს,
რა მწარე იყო მტერთა მახვილი!
— დარდს და კაეშანს ვარდი რად შვენის?..
ასე რად არის ჩვენი საწუთრო?!
— ო, არა, შვილო, გახსოვდეს მუდამ:
სიცოცხლეს უყვარს ყვავილი ურჩო!

ქ ა ქ ს ქ ა ბ ო ბ დ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი...

გულის ყულაბა შენით მევსება,
ჩემი აზრი და სუნთქვა შენა ხარ.
ამოვვარდნილვარ ქარში ლექსებად
და დავწინდულვარ შენთან ვენახად.
მივლია გზებზე როგორც ფალავანს:
ბევრჯერ მათოვდა, ბევრჯერ მაწვიმდა.
ყოველ ციხეს და ყოველ გალავანს
ჩავტანებივარ ნაწილ-ნაწილად.
უძლეველობა შენი ვინდომე
და დავწვეთივარ ვეფხვებს ნადიმად.
მტერს დავუჭრივარ შორს ინდოეთში,
მაინც შენს ბაღში ჩამოვვარდნილვარ.
მე შენს მომავალს სულ მზე ვუსურვე.
სული ვარძიის ციხეს შევადნე.
ყოველ სიკეთეს ყოველ უფსკრულზე
მე გავდებივარ ხიდად შენამდე.
შარად ვაქციე ყველა გზაწვრილი,
შენი მთა სისხლის ფასად გავათბე
და გორგასალი მტკვარზე დაჭრილი
თბილისის თავზე ამოვანათე.
თურქეთს მათრიეს, სპარსეთს მაფუძნეს,
გზა დამიგმანეს, მზე შემილახეს,
მწარე ღიმილით ყველას გავუძელ
და გული შენთვის შემოვინახე.
აჰა, მოვედი, მთაო, ეს მე ვარ!
მოვედი, შენი შუბლი მენახა.
ამოვვარდნილვარ ქარში ლექსებად
და დავწინდულვარ შენთან ვენახად.

შოთა ნიჟარაძე

საქართველოს სიყვარული

გზებზე სანთლად ამნთებია
საქართველოს სიყვარული,
ნუ მომშლოდეს ამ მთებში და
ველ-მინდვრებში სიარული.
თვალი მჭონდეს მაჭახელა,
გული წყაროს ნადარები,
კერას ჩემგან გაჩაღებულს
დაეხვიონ პატარები.
ჟანამ ტანი აიყაროს,
ბაღმა ტოტი დაიმძიმოს,
დღისით მართლა გავიხარო,
ღამით მართლა დავიძინო.
ყველგან ძმურად წამეხუმრონ,
მტრულად არსად არ მეშარონ,
მამის ქუდი დამეხუროს,
დედის კალთა გამეშალოს.
ვცოცხლობდე და რკინას ვკვნეტდე,
მკლავში სისხლი ჩამემტკაროს,
ჩემი ხალხის გულის კედელს
ზურაბივით ჩავეტანო.
ტანს ვუშვერდე ამ მზის შოლტებს
ტკივილით თუ სიხარულით,
ნურასოდეს ნუ მომშლოდეს
საქართველოს სიყვარული!

რევაზ ლორია

ყ ვ ა ვ ი ლ ი

ახლა მე ერთი ყვავილი ვნახე,
ყვავილი უცხო, ალბათ ტყიური,
თუმცა არ ვიცი, არ ვეძებ სახელს,
სილაღე შვენის კავკასიური.
მე ამ მხარეზე რას გეტყვი ახალს,
ყვავილი ყვავილს ისე ანაზებს —
რომ აღარ მინდა სიკვდილი ახლა
და აღარც ფიქრი „იმ“ ქვეყანაზე.
ახლა მე ერთი ყვავილი ვპოვე,
უცხოა, თუმცა შენს სახელს ვუხმობ.
მომაქეს და თქვა შენამდე მოველ
სიცოცხლესავით მოყვარეს უხმოდ.

ემენ დავითაძე

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა

ბევრი რამ ხდება ქვეყნად შემთხვევით,
ზოგჯერ შემთხვევა სიცოცხლეს უდრის...
ბევრი რამ ხდება ქვეყნად შემთხვევით —
კარგიც და ცუდიც.
ზოგჯერ შემთხვევით რითმებს შევკონავთ
და მორჩა...
მერე აღარ გვასვენებს;
შემთხვევით ვიძენთ ერთგულ მეგობარს,
მაგრამ შემთხვევით ვკარგავთ ასევე.
ზოგჯერ შემთხვევით ჩავიდენთ ცოდვას
და მერე მთელი ცხოვრება ვდარდობთ.
საყვარელ გულებს შემთხვევით ვკოდავთ,
შემთხვევით ვხდებით უნდო და სანდო.
ზოგჯერ შემთხვევით გვეცვლება ნირი,
ერთადერთ პირშოს შემთხვევით ვფიცავთ...
შემთხვევით ვხდებით სახალხო გმირი,
მაგრამ შემთხვევით არ ვიცავთ მიწას.
შემთხვევით გვიყვარს ალუბლის ფერი,
თუ ის გვაგონებს საყვარლის ალმურს...
მაგრამ შემთხვევით არ გვიყვარს ერი,
არ ვეფერებით შემთხვევით მამულს.
ბევრი რამ ხდება ქვეყნად შემთხვევით,
ზოგჯერ შემთხვევა სიცოცხლეს უდრის...
ბევრი რამ ხდება მართლაც შემთხვევით —
კარგიც და ცუდიც.

ტაგუ მებურიშვილი

ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო

გაუმარჯოს, ვინც ოცნებით
აღამა და ათენა,
ვინც ქართველად დაიბადა,
ვინც მოკვდება ქართველად!
გაუმარჯოს საქართველოს,
ღვთის ნაკურთხს და დალოცვილს,
ამოუცლელ სიმდიდრეს და
სიღარიბეს ამოცლილს.
დაუხატავ სილამაზეს,
უმღერებელ სიმღერას,
ლურჯი ზეცის სიმშვიდეს და
გალურჯებულ ზღვის ღელვას.
მხარბეჭიან მთას და მწვერვალს,
ვეფხვიანს და ლომიანს,
არწივების წამოფრენას,
ღობემძვრალას ძრომიას.
სადაც ყინვაც ვერა ყინვობს,
ღვინოს უდრის წყაროცა...
გაუმარჯოს შოთას ნესტანს,
სულხან-საბას სალოცავს,
კოჭლი ტატოს მერნის ქროლვას,
ვინ თქვა კოჭლი თუ იყო!
ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადს“
და აკაკის „სულიკოს“!
საკაძის გამჭრელ მახვილს,
შუქშემოსილს მადლითა,
დიდი ვაჟას დაჭრილ არწივს
და პაატას წაჭრილ თავს.
გაუმარჯოს დედის მანდილს,
ნამუსის ქუდს მამისას,
გაუმარჯოს ომის გმირებს,
მტრის ბუნაგის წამნისლავს.
გაუმარჯოს ჩვენს პატარებს,
ჩვენთა გულის ვარდებად,
ვინაც უკვე დაიბადა,
ვინც აწ დაიბადება.
გაუმრავლდეს ჩვენს ქვეყანას
ფრთებძლიერი მართვენი,
აქ რომ ვეღარ ეტიოდეს,
ცას იპყრობდეს ქართველი!

ნოდარ შამანაძე

ახალგაზრდული

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატები

ეს თეატრი რუსთაველის სახელს უნდა უმადლოდეს. სწორედ გენიალური პოეტის დაბადების 800 წლისთავის იუბილესათვის მზადების პროცესში იშვა ქართული კულტურის მესვეურთა შორის აზრი საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეს, სადაც დღესაც მხნეობენ საუკუნეებით მხრებდამძიმებული საფარა და ზარზმა, ოქროს ციხე და ხერთვისი, ქაჯეთის ციხესავით მიუდგომელი თმოგვი და კლდე-ქალაქი ვარძია, შემატებოდა კიდევ ერთი დიდებული ტაძარი, ტაძარი ხელოვნებისა — თეატრი.

ყოველი სიახლის მხარისამბამელი ახალგაზრდობაა და ახალი თეატრის პირველმა დირექტორმა, სცენაზე გაჰალარავებულმა, კოტე მარჯანიშვილის სკოლაგავლილმა მიხეილ მეძმარიაშვილმაც ახალგაზრდობის იმედით მოჰკიდა ამ საქმეს ხელი.

ეს იყო 1967 წელს.

თავდაპირველად რეჟისორის ძებნას შეუდგა. ბევრი თეატრი მოიარა, ბევრი ახალგაზრდის შემოქმედებას გაეცნო და ბოლოს მისი ყურადღება გორის თეატრში ჯემალ ქარჩხაძის „დევიძეების ოჯახმა“ მიიპყრო. დადგმა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ნანა დემეტრაშვილს ეკუთვნოდა და სწორედ მასზე შეჩერდა არჩევანი.

პირველი მერცხლები თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები იყვნენ. ისინი მაშინვე, 1967 წლის გაზაფხულზე ჩავიდნენ ახალციხეში და სადიპლომო წარმოდგენები — პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ (რეჟისორი ალექსანდრე მიქელაძე) და ალექსანდრე ჩხაიძის „სიბრძნე სიცოცხლისა“ (რეჟისორი ნუგზარ გაჩავა) იქვე, ახალი თეატრის სცენაზე აჩვენეს.

ინსტიტუტელებს კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის რამდენიმე მოსწავლეც შეემატა და ასე შედგა მცირე დასი, რომელმაც იტვირთა დიდი ეროვნული საქმე. თავისი პირველი სეზონი 1967 წლის 23 სექტემბერს გახსნა პატარა, მაგრამ მყუდრო შენობაში (ახლა ამ შენობის გვერდით მთავრდება თეატრის ახალი, გრანიტის სვეტებზე დაყრდნობილი ლამაზი და ტექნიკურად სრულყოფილი ნაგებობა, რომელშიც საგაისოდ გადასახლდებიან).

მესხეთში თეატრის შექმნას საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა. პირველივე წარმოდგენამ — ოთარ ჩხეიძის ისტორიულმა დრამამ „თედორემ“, რომელიც ნანა დემეტრაშვილმა დადგა, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. საგულისხმოა, რომ „თედორეს“ სპექტაკლი რეპეტიციები ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიაში გაიმართა თამარისა და გიორგი მესამის ფრესკების წინაშე... ამას ჰქონდა თავისებური გამართლება და ქვეტექსტი: იმ გარემომ, იმ ფრესკებმა, იმ თაღებმა თავისებური სული შთაბერეს მათ პირველ წარმოდგენას, სულ სხვანაირად, ამაღლებულად წარმართეს მათი შინაგანი ხმა...

მესხეთს, საქართველოს ამ უძველესი და უმდიდრესი წარსულის მქონე კუთხეს, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში კვლავ აღორძინდა კულტურა, განათლება, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგი, შეემატა ხელოვნების ტაძარიც — კათედრა, საიდანაც ადამიანს ბევრი კეთილი რამ შეიძლება უთხრა.

ეს სიკეთე მიაქვს თეატრს არა მარტო ახალციხელებში, არამედ ასპინძა-ადიგენის მოსახლეობაშიც, ბორჯომშიც, სადაც მოუთმენლად ელიან ხოლმე მესხეთის დასს. ასე მოიარეს მესხეთის მთა-ბარი, სადაც ხშირად თვით ამ მშვენიერ ლეგა მთებსაც „უთამაშიათ“ დეკორაციის როლი.

მეხუთე წელიწადია, რაც თეატრალური სეზონის გახსნა ზეიმად იქცა მესხეთის მიწაზე. ისიც სიმბოლურია, რომ თეატრალური სეზონის გახსნა და რუსთაველის დღე, შოთაობად დათქმული პოეზიის დღე, ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე, ერთმანეთს გადაეწერება. პოეზიის ამ მაღალ დღეს დედაქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასულ სტუმრებს ასპინძელებთან, რუსთაველებთან ერთად მასპინძლობს მესხეთის თეატრიც.



წლეულსაც ასე იყო, ოღონდ ეს ზეიმი გასამდა — საქართველოს კომკავშირის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით მესხეთის თეატრს იმ დიდი დამსახურებისათვის, რაც მას მიუძღვის თავისი ხელოვნებითა და მოჭალაქეობრიობით, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. სპატიო ჯილდო მასთან ერთად ეამაყება მთელ საქართველოს. და ეს ჩანს იმ გულთბილი მილოცვებიდანაც, რომლებიც ზედიზედ მიიღო დირექციამ ქართველი მეცნიერებისაგან, მწერლებისაგან, კულტურის მოღვაწეებისაგან თუ თეატრის რიგითი მოყვარულებისაგან.

ალალია ამ ახალგაზრდული გატაცებით შედუღაბებულ დასზე ეს ჯილდო!

ნანა ღვინეფაძე

სურათზე: მესხეთის თეატრის ახალი დადგმის „ქეთევანის“ ერთ-ერთი სცენა.

ფიროსმანაშვილი საზღვარგარეთ

იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში, ახალი ხელოვნების გალერეის 8 დიდ დარბაზში ერთ თვეს გასტანა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენამ. გამოფენის ექსპონატები ისე იყო შერჩეული, რომ დამთვალიერებლებს, რომლებიც არ იცნობდნენ ამ შესანიშნავი მხატვრის შემოქმედებას, რაც შეიძლება სრული წარმოდგენა შეჰქმნოდათ მის ოსტატობაზე. სხვა საუცხოო ტილოებთან ერთად გაპანორებული იყო ფიროსმანაშვილის ცნობილი ნამუშევრები „მეთევზე“, „მეეზოვე“, „ბათუმი“, „გიორგი საკაძე“, „მდიდარი უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი ბავშვებით“.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ იუგოსლავიის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ოფიციალური პირები, მხატვართა კავშირის წარმომადგენლები, ჩვენი საელჩოს მუშაკები. ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შალვა ამირანაშვილმა.

იუგოსლავიის პრესამ დიდი ყურადღება დაუთმო ფიროსმანაშვილის გამოფენას. დაიბეჭდა მრავალი რეცენზია, სტატია, სურათების რეპროდუქცია. სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, ფიროსმანაშვილი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მხატვარია მსოფლიო პრიმიტივისტთა შორის.

ახლახან ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა გაიხსნა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში. აქაც დიდ ინტერესს იჩენენ ქართული მხატვრის შემოქმედებისადმი.

რუმინეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა მირჩა პოპესკუმ გამოფენის გახსნაზე გამოსვლისას ხაზი გაუსვა, რომ ფიროსმანაშვილის შემოქმედება ნაძდვილი ხალხური ხელოვნებაა. იგი მაყურებელს იპყრობს ცხოვრებისეული სიმართლით. გამოფენის გახსნას დაესწრნენ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გენერალური საბჭოს თავმჯდომარე როშიანუ, რუმინეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა კავშირის ბუქარესტის საელჩოს წარმომადგენლები, საზღვარგარეთის ელჩები და საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

„ბერლინერ ანსამბლი“ თბილისში

„შარშან მაისში, როცა რუსთაველის თეატრი ბერლინში იყო საგასტროლოდ ჩასული და დაიდო ხელშეკრულება საქართველოს დედაქალაქში „ბერლინერ ანსამბლის“ სპასუხო ვიზიტის თაობაზე, აზრადაც არავის მოსვლია, რომ ინტერნაციონალური თეატრების ორი წამყვანი მოღვაწე ვეღარ მოესწრებოდა ქართველ და გერმანელ მეგობართა ამ განმეორების შეხვედრას: ჰელენე ვაიგელი, ბრეხტის თეატრის მესვეური, და სერგო ზაქარიაძე, რუსთაველის თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი“ — წერდა გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე გერმანელი ჟურნალისტი გიუნთერ ბელმანი თბილისში ბრეხტის თეატრის გასტროლების წინ.

„ბერლინერ ანსამბლი“ — ბრეხტისა და ვაიგელის თეატრი — უკვე 34-ჯერ იყო საგასტროლოდ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. თბილისი მეოცე ქალაქია, სადაც მან თავისი სპექტაკლები გვიჩვენა.

სწორედ ასეთი „ცდა“ და „ექსპერიმენტია“ ისტორიულად „სამგროშიანი ოპერა“ და „კორიოლანოსი“, რომლებიც „ბერლინერ ანსამბლმა“ თბილისში გვიჩვენა.

რუსთაველის თეატრის დარბაზი, სადაც გასტროლები მიმდინარეობდა, მუდამ ხალხით იყო გაჭედილი, პრესაში სისტემატიურად იბეჭდებოდა რეცენზიები, წერილები. და ყველა მათგანის მთავარი აზრია: „ბერლინერ ანსამბლის“ გასტროლებით შევიცანით იერი, სახე მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მოწინავე თეატრისა, ეპოქური თეატრისა, რომელიც ოქტომბრის სიმართლესა და მშვენიერებას.

„ბერლინერ ანსამბლის“ ფარდას პიკასოს „მტრედი“ ამშვენებს. ამ ემბლემით შემოიარა თეატრმა მსოფლიოს ბევრი ქალაქი. ამ ემბლემით ეწვია ქართველ მაყურებლებსაც და თავისი შემოქმედება ნაწილობრივ მაინც გააცნო. მოხარული ვართ, რომ ეს გაცნობა ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. მოხარული ვართ იმითაც, რომ სწორედ თბილისში გაიმართა „კორიოლანოსის“ მეორახე წარმოდგენა!

„ბერლინერ ანსამბლის“ გასტროლები დამთავრდა. თბილისელები დიდხანს არ დაივიწყებენ ამ შესანიშნავ, დიდებულ სპექტაკლებს.

სადაც ილია ცხოვრობდა...

ქსი წლის წინათ ზედაზნის მთის კალთაზე, გორის უბანში, დავით გურამიშვილის წინაპართა ნამოსახლარზე ილია ჭავჭავაძემ ჯერ უბრალო ფიცრული სახლი დადგა, შემდეგ კი 1895 წელს სამსართულიანი ქვითკირის სახლი ააგო.

ათეული წლების მანძილზე ეს სახლი იყო ქართული კულტურის მედროშის შტაბი, საიდანაც ასე ვაჟკაცურად გაისმოდა ერის მოამაგის ომახიანი ხმა.

სახლს სადარბაზო მნიშვნელობაც ჰქონდა — ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს უპირველეს მასპინძლობას თვით ილია ჭავჭავაძე უწევდა.

სხვადასხვა წლებში საგურამოში ილიას ესტუმრნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მორფილი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი შუხართი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ლემანჰაუპტი და სხვები.

საგურამოში ილიას ხშირი სტუმარი იყო გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი, რომელსაც ილია ევროპასთან საქართველოს ლიტერატურულ შუამავალს ეძახდა.

ილიასთან საგურამოში გატარებული დაუვიწყარი დღეები ინგლისელ მწერალ ქალს ძარჯორი უორდროპს მუდამ ტკბილ მოსაგონრად დარჩა. წლების მანძილზე იგი გატაცებით თარგმნიდა ინგლისურ ენაზე რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“, ილიას „განდეგილს“, „მგზავრის წერილებსა“ და სხვა ნაწარმოებებს...


ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ დიდი ხნის მანძილზე საგურამოს უცხოელი სტუმარი აღარ უხილავს. ილიასეულ სახლში ხანგრძლივი დუმილის ფარდა ჩამოწვა.

1951 წლის მაისში ილიასეულ მშვენიერ სახლში სახალხო პოეტ აკადემიკოს გიორგი ლეონიძის თაოსნობით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი მწერლისა და მოაზროვნის სახლ-მუზეუმი. მუზეუმს ყოველდღიურად უამრავი სტუმარი ჰყავს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან, ხშირად ნახულობენ ილიასეულ კარ-მიდამოს უცხოელი სტუმრებიც, ეცნობიან ამაგდარი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

საგურამოს სახლ-მუზეუმში ყოფილან ბოლივიელი მწერალი ხუსეს ლარა, ნორვეგიელი ქართველოლოგი ჰანს ფოქტი, იტალიელი მწერალი ჯანკარლო ვიგორელი, სუდანის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი რაშიდ ნაილი, ინდოელი პროფესორი შალმარკა ეთი, თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი და სხვები.

მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი საინტერესო და საყურადღებო ჩანაწერია.

„ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა მისი ეროვნული პოეტისადმი ზრდის ჩემს პირად პატივისცემას ქართველების მიმართ. ჩვენც გვყავს ვიეტნამში დიდი ეროვნული პოეტი ნგუენ ძუ, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ უკვდავვყოთ მისი ხსოვნა“—შთაბეჭდილებას ხელს აწერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი



საზოგადო მოღვაწე მან ჩანი.

ილიას სახლ-მუზეუმი დიდი ინტერესით დაათვალიერეს ბულგარეთიდან მოსულმა სტუმრებმა — მწერალთა კავშირის მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა გიორგი კარასლავოვმა, სახალხო მწერალმა ტოდორ გენოვმა და მწერალმა ნიკოლოზ ზიდაროვმა. ისინი დიდხანს იდგნენ სამგლოვიარო ოთახში, დასცქეროდნენ ტყვიას, რომლითაც ჯალათებმა გული შეუნგრიეს ერის მოჭირნახულე მამას. გიორგი კარასლავოვმა სევდიანად განაცხადა: ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული და ეს პატარა ტყვია მაგონებს ჩვენი ერის სასიქადულო შვილს ქრისტო ბოტევს, რომელიც მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდა, მაგრამ ჯალათებმა მოკლესო...

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ლუის ფრანსის სოლანომ მუზეუმის დათვალიერების შემდეგ შთაბეჭდილების წიგნში ასე ჩაწერა: **„ვერ ვპოულობ სიტყვებს იმ საოცარი სილამაზის გამოსახატავად, რაც აქ, ჩემს გარშემო აღმოჩნდა. აქ ბუნება და ადამიანი თითქოს ერთმანეთთან არის შერწყმული და ურთიერთობის საუკეთესო ფორმისათვის მიუღწევიათ. ადამიანებთან შეკავშირებული მიწა, ხეები და ყვავილები ძნელად რომ სხვაგან ასე კარგად გამოიხატოს“..**

ინგლისელმა მწერალმა ჯეკ ლინდსეიმ კი მუზეუმის დათვალიერების შემდეგ შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერა: „წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე საგურამოს ლამაზმა ბუნებამ... საგურამო ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილთაგანია, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის სილამაზეში. შესანიშნავი იყო დიდი ადამიანისა და პოეტის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ნახვა, მუზეუმისა, რომელშიც ნათლად მოჩანს ამ ადამიანის ხასიათი. აქ ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ილია ჭავჭავაძე დღესაც ცოცხლობს და უმღერის თავის საყვარელ სამშობლოს და მის ახალ სოციალისტურ მიღწევებს“.

ჩანაწერები მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ნათლად გამოხატავს სტუმართა პატივისცემას ქართული კულტურის დედაბოძის — ილიასადმი, რომელიც მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე სანთელივით იწვოდა ხალხის ბედნიერებისათვის.

შალვა მარკოზაშვილი,

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

მივ ძღვნა დი კო ბოზიტორს

საზეთის საზოგადოებრიო- ფართოდ აღნიშნა დიდი ლი კომპოზიტორის ზაქა- იაშვილის დაბადების 100 ვი. ამ ღირსსახსოვარი თა- მიძღვნილი საიუბი- იმი, რომელიც ერევანში, რიანის სახელობის ოპე- ბალეტის თეატრში გაი- მრავალეროვნული საბჭო- ტურის, სომეხი და ქართ- ლხების მეგობრობისა და დიდ ღღესასწაულად გა-

ტრაღი- ციულად...

52 წელიწადის სცენას არ შორდება დიდი ქართველი კომპოზიტორის, ჩვენი ეროვნული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის შესანიშნავი ოპერები. 52 წელიწადია ამ დიდებული შემოქმედის ქმნილებანი გვატკბობს და გვაღელვებს. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ყოველწლიურად, ტრადიციულად მისი ოპერით ხსნის სეზონს. წლეულსაც საზეიმოდ გაჩირაღდნებულ ხელოვნების ტაძარში ამილისელებს სეზონის დაწყება სწორედ დიდებულმა „აბესალომ და ეთერმა“ აქცია.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ სულ ცოტა ხნის წინათ აღინიშნა ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი. საზეიმო დღეები გაიმართა მოსკოვში, სადაც დიდი წარმატებით გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის ოპერის თეატრის, მისი სიმღერის „აბესალომ და ეთერი“ და „ლაშარი“, ბალეტის როლები გაერკვნენ საბჭოთა დიდების შემდეგაც. საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მშრომელებმა ხანგრძლივი რიგის გამოწვიეს მაღალი „ბილეთი“, ოთარ თაქთაქიშვილის „ლაშარი“ და დიდი საზეიმო კონცერტი. ყველა დადგმას მოსკოველები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

გაზეთი „პრავდა“ წერდა: „ფალიაშვილის პარტიტურები, მიუხედავად გარეგნული სიმარტივისა (იგი იმის შედეგია, რომ კომპოზიტორი გმირთა ემოციების გასახსნელად ყოველთვის ირჩევს მაქსიმალურად ზუსტ ფერადებს), შემსრულებელთაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. ამ ოსტატობას მშვენიერად ფლობენ თბილისის ოპერის საუკეთესო ოსტატები. აბესალომის (ზურაბ ანჯაფარიძე), ეთერის (მედეა ამირანაშვილი), მარის (ლიმარა ჭყონია), მაღალის (ნიკოლოზ ანდღულაძე) პარტიების გასწავლა გადაუჭარბებლად შეიძლება ვუწოდოთ სანიმუშო როგორც აქტიორული კულტურის პლანში, ისე ვოკალური უმწიკვლობის თვალსაზრისით“. რეცენზენტი საუკეთესო შეფასებას აძლევს აგრეთვე ოპერისა და ბალეტის სხვა სოლისტების ხელოვნებას, დირიჟორთა, ქორეოგრაფთა, ქორმაისტერთა დიდ წვლილს და დასასრულ წერს: „თეატრის დასში ბევრი ახალგაზრდაა. ამ ახალგაზრდობის უმრავლესობა მკაფიო ნიჭით არის დაჯილდოებული, რაც იმის რწმენას გვაძლევს, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ნიჭიერი კოლექტივი, რომლის სახელოვან ისტორიას ახალი მკაფიო შემოქმედებითი ფურცლები ემატება, შემდგომ წარმატებებს მიაღწევს“.

რამდენიმე დღის წინათ ოპერის თეატრი გასტროლებიდან დაბრუნდა და თავის ჩვეულ საქმიანობას შეუდგა. წლეულს ოპერის ახალი სეზონი ბევრ სიახლეებს გვპირდება. რეპერტუარშია ნიდარ მაისაშვილის ახალი საბავშვო ოპერა „ბაქია ბაქია“, ფარა-ფარაულის ცნობილი მოთხრობის „ქუდიანის ბიჭიკით“, ლისენკოს ოპერა „ტარას ბულბა“, ვერდის „ოტელო“, ბოროდინის „თავადი იგორი“ და სხვა. სპექტაკლებში ჩვენი წამყვანი მსახიობების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი საზღვარგარეთელი მომღერლებიც.



ზ ქიჟი იყალთოში

ამდ ენიმე წელიწადია იყალთოელებმა შოთაობა დააწესეს. სწო რედ იყალთოელებმა, რადგან მათი ღრმა რწმენით აქ, საქვეყნოდ ცნობილ იყალთოს აკადემიაში უსწავლია რუსთაველს მეცნიერება, კაცთმოყვარეობა, ბილ იყ ობა, ჰ მას შ თავსები თვლიან, ასეთი დემიის პირიდან მუშები, მსმენ რეთელ ტატები ლი მეც და მ თველო მოდგენ წლეულ ტომბერ დანვე დან — ვაწონი, იყალ ტერესო ნენ ზეპ და მიიც რალური რაციაში, რალურ რაციაში ტატორს მოწყო ლი ლექ მრელობ გაიმარ მთელ

ენიმე წელიწადი იყალთოელებმა შოთაობა დააწესეს. რედ იყალთოელებმა, რადგან მათი ღრმა რწმენით აქ, საქვეყნოდ ცნობილ იყალთოს აკადემიაში უსწავლია რუსთაველს მეცნიერება, კაცთმოყვარეობა... ემდეგ რვაასი წელიწადი გავიდა. ქართველობას აკადემიისა და მისი სახელგრევები დღემდე შერჩა. აქაურობას წმინდათა წმინდა ადგილად საგულდაგულოდ უვლიან და კვლავ გიზგიზებს აქ მეცნიერების კერა. ობით ადამიანი იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის მსმენელია. აკანფუძვარზე ლექციების მოსასმენად ახლაც მოდიან თელავიდან, რუისგორდისუბნიდან, ზემო ხოდაშნიდან, ოჭიოდან... მოდიან გლეხები, დიასახლისები, ახალგაზრდები, ჭარმაგები, მოხუცები...

ელთა წინაშე გამოდიან აკადემიკოსები რაფიელ დვალი და გიორგი წეევენი ხარაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ქართული სიტყვის დიდოსტანტინე გამსახურდია და ირაკლი აბაშიძე. ჩვენი სახელმოხვეჭიერები, მწერლები, შემოქმედები...

ც ყველაზე მეტ ხალხს შოთაობა იზიდავს. ეს დღესასწაული საქარი პოეზიის დღეებს ემთხვევა ხოლმე, ვინაიდან ქართველი კაცის წარში შოთა და ლექსი დიდი ხანია გაიგივებულია.

ს ჭეშმარიტად გრანდიოზული ხასიათი მიიღო „შოთაობამ“. 31 ოქ- შემოდგომის თბილი მზე დანათოდა აკადემიის ნაფუძვარს. დილაიძრა ხალხი. აქ იყო მთელი კახეთი, საპატიო სტუმრები თბილისიხელოვნების, კულტურის, მეცნიერების, სპორტის გამოჩენილი მოღესტონეთის კულტურის დღეების მონაწილენი.

ოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი შათირიშვილს საინდ დაეგება ღონისძიება. დღესასწაულის მონაწილენი ხალისით ჩაებრ ჟურნალში „მინდა ყველაფერი ვიცოდე“, რომელშიც მონაწილეობეს აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა, რესთაველის პრემიის ლაუმოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელმა, საქართველოს კომკავშირის ცენტკომიტეტის მდივანმა ნუგზარ ფოფხაძემ, მთაფლოის ჩემპიონმა ჭადონა გაფრინდაშვილმა, ესტონეთის რადიოსა და ტელევიზიის კომენკარმემ და სხვებმა.

ო პაექრობა — „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“, ახაბების კონკურსში გაიმარჯვა იყალთოელმა სახალხო მთქმელმა ვანვალმა.

თა მრავალფეროვანი სპორტული შეჯიბრებები.

დღეს ზეიმობდა ქართული მეცნიერების უძველესი საუნე.



ნუკრი შავგულიძე შინმოუსვლელთა ძეგლთან

ქვასა და ლითონ- ში ან შეჭიდე- გული

ასეთ მთა-კორტოხს თბილისში ჯერ არ წავწყდომივარ... ამ მთა-კორტოხზე პატარა თეთრი შენობა ყოფილა და არ ვიცოდი. ფაცხას ჰგავს იგი. მოლისფერი ლითონის კარი აქვს ამ ფაცხას. კართან მწვანე ტირიფს თავი დაუხრია, მკლავები მიწაზე ჩამოუბერტყავს და საჩრდილობლად გადაჰფარვია ეზოს.

აქედან მთელი თბილისი მოჩანს... კარებზე სპილენძზე ნაჭედი ნუკრია მიკრული.

ეს გამოფენა ნუკრი შავგულიძის სახელოსნოა.

ფაცხიდან ჩაქუჩის კაკუნი ისმის... კარი ღიაა.

ფაცხა კი არა, ქვის კედლები ჰქონია ამ შენობას, ჭერი კი მინისაა. რაც ქვეყანაზე მზე და სინათლეა, აქ დაფრქვეულა. და კიდევ რამდენი რამ არის აქ. ქვასა და ლითონში ამეტყველებული ბუნება, ადამიანები, ფიქრები, ბრძოლა, სიყვარული, ბედნიერება, ოცნება...

იატაკზე სპილენძის ვეებერთელა ფირფიტა იზნიქება, იბორცება და ზედ დახრილ მარჯვენას ემორჩილება.

ოსტატი გვესალმება და ლითონი თავს ითავისუფლებს.

ნუკრი შავგულიძე მარტო არ არის სახელოსნოში. დედა მუდამ თავს დასტრიალებს შვილსაც და მის ნამუშევრებსაც. დედაა მისი უპირველესი, უმკაცრესი მსაჯული, შემფასებელი და დამფასებელი. დედა — [illegible] მსახიობი და მხატვარი ლიზიკო ჯაბადარი.

[illegible] — ხელოვნების სიყვარულში [illegible] ქცეული, ლითონსა და ბრინჯაოში ცოცხლად გარდაქმნილ, მამისეულთას შთაგონების უშრეტი წყარო ქართული სცენის უდრეკად დაკარგული მეგვენება — გიორგი მაღუღლიძე!

უპირველეს ყურადღებასაც მასის თვის იქცევს. მრავალ სახედ გარდაქმნილი, ფანტაზიით შესრულებული დიმიტრიანი შამისეულის პორტრეტი, ქანდაკება „ცისკარი“, ჭედური ხელოვნებით შესრულებული [illegible] „პორტრეტი“, მიხეილ „ცინცაძე“, „ამხედრებული სათაური“, „დაჭრილი ამხედრებული“ სილუეტი, ქრისტიანე [illegible] ბრინჯაოში ჩასხმული ლიტრა, მასის მიერ სახელოსნოს თეატრის სცენის დეკორაციად [illegible] ნუკრი შავგულიძის ქმნილებები დღეს ჩვენი სამშობლოს ბევრ კუთხეს, ბევრ ქალაქს, ნაგებობას ამშვენებს. გამოირჩევა მისი ხელით შესრულებული ხაშურის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კარისა და ინტერიერის ჭედურობა, სადაც ერთსა და იმავე კომპოზიციაში ერთიანდება ორნამენტი და ფიგურა. მონუმენტური ჭედურობის ყველა ნიმუშში, განსაკუთრებით „ნადირობის ჰიმნში“, რომელიც თბილისის ზღვის პანსიონატს ამშვენებს, მასშტაბი დაცულია და ზუსტი სიმეტრიის რეალისტურ კანონწესა აგებული. აქ ინტერიერისათვის შერჩეული დედაბოძი თავისუფლად გაშლილ ორნამენტს ექვემდებარება, რელიეფური გამჭვირვალე ბირთვები რთული ტექნიკური ხერხით არის დამუშავებული. თემა თავისუფლად ვითარდება მთელ არეზე და მცირდება სიმკვრივისა და ინტენსიურებისაკენ გათვლილ ბუდეთა განაწილების მიხედვით. ამ ბუდეებში კი ფირფიტაფერი და ლურჯი ნიტრომიმაბერი ლაციცობს. რა სილამაზე, რა სინატიფე!..

ხალხური სცენების ლაზათი, ქართული ცეკვის დინამიკა და პლასტიკა მთამბეჭდავად არის გადმოცემული „დილის საარმიაში“, სადაც ძლიერი და გამომსახველი ტექნიკით გამოირჩევა „ნიშნური სამშობლოსკენ“. აქ მეჩონგურე, დაირის დამკვრელი და ტაშისცემა მოდეფუნე ქალები დამოუკიდებელი მხატვრული სახეებია.

ნუკრი შავგულიძის აკადემიური ქმნილებაა „შინმოუსვლელთა ძეგლი“, რომელიც დაიდგა სოფელ აფენში, საიდანაც 850 ახალგაზრდა წავიდა სამშობლოს დასაცავად და 525 გმირული სიკვდილით დაეცა. ჯგუფური პორტრეტის კომპოზიცია მტკიცეა, ეპიზოდები მდიდარია დრამატული მოვლენებით. არა სქემა, არა მოარული პლაკატი, არამედ მაზარიანთა მწყობრი სისტემა, ოპტიმიზმი და გმირობა, ომი სახალხო, სამართლიანი. ქვაში გამოკვეთილი ჯაბუკები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, ყველანი კი გმირებს, რომლებმაც გადაარჩინეს მომავალი, მზე, სიცოცხლე, დედა.

ამიტომ შეუფასებ ამ ოჯახში მზისა და დედის კულტი— სახელოსნოში დედა დაფენილებს, მტვერს აცლის დედისეულის ნახელავს, ალაგებს ყოველ დეტალს, ეს თითქოს სატყუარა და ტრიკია, დედა კმა ითქმის ნებისმიერ ნაწარმოებში, დედის სახელოსნოში [illegible] ნაწარმოებიც ითქმის ამ სახელოსნოს უნიკალურ ატმოსფეროში.

და კვლავ ბრძოლება შეჭიდება ქვასა, ბრინჯაოსა და ბრინჯაოსთან.

ქირა ჯვეიძე




სურათებზე: — „ყინწვისის ანგელოზი რთველში“; „კინტოების ცეკვა“.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ანტონ (თეიმურაზ) ბაგრატიონი

წლეულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსების საბჭოს ინიციატივით მოეწყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის ანტონ (თეიმურაზ) ბაგრატიონის დაბადების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. სესიაზე წარმოდგენილ მოხსენებებში ასახული იყო ანტონ ბაგრატიონის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის თითქმის ყველა მხარე.

გთავაზობთ წერილს, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ამ მოხსენებათა საფუძველზე მოამზადა.



თეიმურაზ ბაგრატიონი ვახტანგ VI-ის ძმის იესეს ძე იყო. დაიბადა 1720 წლის 11 ოქტომბერს თბილისში. იმ დროის საქართველოს გამოჩენილ მეცნიერთა დახმარებით ყოველმხრივი განათლება მიიღო. 15 წლისა დაინიშნა გივი ამილახვრის ასულზე. გივი ამილახვარი, ქართლის არისტოკრატიის მეთაური, რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო. ამის გამო ნადირ შაჰმა იგი დასაჯა და აიძულა მისი ასული, თეიმურაზ ბაგრატიონის საცოლე, 1739 წელს სპარსეთის ჰარამხანაში მისთვის მიეგვარათ. თავზარდაცემული თეიმურაზი გელათის მონასტერში ბერად აღიკვეცა ანტონ I-ის სახელით და მას შემდეგ ქართველი ერის ისტორიაში თეიმურაზად აღარ იხსენიება. 1744 წელს 24 წლის ანტონი ქართლ-კახეთის სამეფოს კათალიკოსად აირჩიეს. ამ დროიდან იწყება მისი მეცნიერული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.

ანტონ ბაგრატიონის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა XVIII საუკუნის 40-70-იანი წლების საქართველოში უდავოდ პროგრესული იყო. მაშინ ქართველი ხალხი საკმაო წარმატებით იბრძოდა ირან-ოსმალეთის ძალადობისაგან განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის. ანტონი ერეკლე მეორის უახლოესი თანამებრძოლი იყო და როგორც ქრისტიანული ეკლესიის მესაჭე-კათალიკოსი, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებისათვის ენერგიას არ ზოგავდა. მისი იდეალი პოლიტიკურად მთლიანი საქართველოს ხილვა იყო. ეს „ბრწინვალე განმანათლებელი“ ჩვენში სწორედ ცოდნა-განათლების გავრცელების დიდ საქმეს ემსახურებოდა და რამდენადმე გასაგებ კიდეც სკოლასტიკის ვიწრო ჩარჩოებს.

ანტონ ბაგრატიონი თავგამოდებით ებრძოდა მაშინ ჯერ კიდევ შემორჩენილ სოციალურ სენს — ტყვე ადამიანთა ვაჭრობას, ცდილობდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. საქართველოს გაძლიერების მთავარ პირობად მას ძლიერ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და მისი მფარველობა მიაჩნდა. 1771 წელს რუსეთში ერეკლეს მიერ გაგზავნილ ელჩობას სწორედ ანტონი მეთაურობდა და მისივე აქტიური მონაწილეობით შემუშავდა კიდეც რუსეთთან სამფარველო ურთიერთობის ძირითადი პირობები, რომლებიც შემდეგში, 1783 წელს, საფუძვლად დაედო რუსეთ-საქართველოს ცნობილ ტრაქტატს.

ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობას განსაკუთრებული პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნის საქართველოში კრიტიკული ფილოსოფიისა და მეცნიერული განვითარებისათვის. ამ პერიოდში ფილოსოფიისა და მეცნიერების დარგში მოღვაწეთა პროგრესული მნიშვნელობა განისაზღვრებოდა იმ როლის მიხედვით, რომელიც მათ სქოლასტიკის ტრადიციების დაძლევისა და თეოლოგიის სამსახურისაგან ფილოსოფიისა და მეცნიერების განთავისუფლების მიმართულებით შეასრულეს.

ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში სქოლასტიკისა და თეოლოგიის ბატონობას იდეოლოგიაში დაუპირისპირდა განმანათლებლობის მოძრაობა.

ანტონ ბაგრატიონის დამსახურება, პირველ რიგში, ის არის, რომ ამ მოაზროვნის შრომებითა და მოღვაწეობით იწყება საქართველოში ღვთისმეტყველების განუყოფელი ბატონობის წინააღმდეგ მიმართული განმანათლებლობის მიმდინარეობის ჩასახვა და განვითარება.

ფილოსოფიისა და მეცნიერების საკითხებზე ანტონ ბაგრატიონის შრომების ძირითადი მიმართულება იყო დასაბუთებინა მეცნიერება როგორც ცოდნა „თავის თავში დასაბუთებული“ სინამდვილის შესახებ. ის ცდილობდა ნათლად გაეგებინა, რომ მეცნიერება სინამდვილეს მისი რეალური მოცულობის ფარგლებში შეისწავლის და ამდენად იგი სრულიად დამოუკიდებელია თეოლოგიის სამსახურისაგან. ანტონ ბაგრატიონმა შექმნა კიდეც ასე გაგებული მეცნიერების სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოები, სისტემატური კურსები (ფიზიკა, რიტორიკა, გრამატიკა და სხვა).

ეს პროგრესული იდეები ანტონს თავის მრავალ შრომაში აქვს დასაბუთებული. მაგალითისათვის დავასახელებთ მის წინასიტყვაობებს „ფიზიკისადმი“ და წიგნისადმი — „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა“. ამ წინასიტყვაობათა ძირითად ამოცანად ანტონი იმ დებულების დამტკიცებას სახავს, რომ „თვინიერ სწავლისა ვერვინ ჰპოვოს სიბრძნეო“, ესე იგი, სინამდვილის გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე ცოდნა არ მოიპოვება. ანტონს მოჰყავს ამის დამამტკიცებელი საბუთები და დაასკვნის: „კმა არს სიმართლის მოყვართა და შურითა შეუპყრელთა მიმართ სიბრძნისა სწავლულებით მოგებისათვის მტკიცე დამტკიცებანი ჩემნი შემოთქმულნი“. როგორც ჩანს, ანტონის „განმანათლებლობას“ მოწინააღმდეგენიც ჰყოლია საქართველოში („შურით შეპყრობილები“) და მის წინასიტყვაობათა ლახვარი სწორედ ამათ წინააღმდეგ ყოფილა მიმართული.

ანტონ ბაგრატიონმა ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში ლათინური ენიდან თარგმნა მსოფლიოში განთქმული ათეისტის, XVIII საუკუნის ფილოსოფიისა და ფიზიკოსის ქრისტიან ვოლფის „თეორეტიკები ფისიკა“, მას დაურთო 246 კომენტარი, რომელშიც გამოამჟღავნა მოწინავე, იმ დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე, ათეისტურ საფუძვლებზე აგებული შეხედულებები ფიზიკაში. თავის კომენტარებში ანტონ ბაგრატიონი გამოთქვამს ღვთის გმობით და აშკარად აღნიშნავს, რომ მაგალითად, ჰაჭა-ქებულის დროს ღმერთი არაფერ შუაშია, ხოლო მისდამი მიზიდულობის მიზეზი მეცნიერთათვის ჯერ კიდევ უცნობია. ეს საკითხი, როგორც ვიცით, ფიზიკოსთათვის დღესაც უცნობია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთარგმნელ-კომენტატორის დევიზი „თეორეტიკები ფისიკის“ წინასიტყვაობაში. იგი წერს: „უმეცარნი ფისიკოსნი მსგავს არიან ბრმათა“. ასეთი გაბედული პოზიტიური აზრებიც ავტორს არ შეეძლო „ვეფხისტყაოსნის“ დაწვა, რაც, სამწუხაროდ, აქა-იქ დღესაც გვესმის.

ანტონი საგანგებოდ აკრიტიკებს ლოგიკის სწავლების საქმის დაყენებას მის დროს. ძირითად მანკს ამ დარგში იმაში ხედავდა, რომ ლოგიკა ისწავლებოდა „ღთის მეტყველურებრ და არა ფილოსოფოსებრ“ (აქაც ფილოსოფიის ღვთისმეტყველებისაგან განთავისუფლებაზეა ლაპარაკი).

ეს პრინციპული დებულებები ედო საფუძვლად ანტონის პრაქტიკულ მოღვაწეობას სასკოლო განათლების დარგში (როგორც ცნობილია, მან დააარსა თბილისისა და თელავის სემინარიები).

ანტონი წერს, რომ საგანთა და მათ მიზეზთა ცოდნა, ესე იგი მეცნიერული ცოდნა, აძლევს ადამიანს შესაძლებლობას, იცოდეს რა საშუალებით მიიღწევა კეთილი დასასრული.

ანტონ ბაგრატიონის, როგორც განმანათლებლის სახელთან არის დაკავშირებული XVIII საუკუნის საქართველოში:

ა) ფილოსოფიისა და მეცნიერების, როგორც რეალური სინამდვილის შესახებ თავისთავადი მნიშვნელობის მქონე ცოდნის დარგების, განვითარება და

ბ) მეცნიერებასა და ფილოსოფიაში სინამდვილის რეალური მოცემულობის ფარგლებში შესწავლის მეთოდოლოგიის დასაბუთების პირველი და ისტორიულად მნიშვნელოვანი ცდა.

ქართული გრამატიკული აზროვნების საწყისებთან დგას ანტონ ბაგრატიონის, პირველი ქართული გრამატიკის ავტორის, მონუმენტური ფიგურა.

ანტონის „ქართული ღრამატიკის“ მნიშვნელობა არა მარტო ის არის, რომ ეს გახლავთ პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე (ივანე ჯავახიშვილი, არნოლდ ჩიქობავა), არამედ ისიც, რომ გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციისას მას ძირითადად ძველი ქართულის ენობრივი მასალა აქვს გათვალისწინებული და, ამრიგად, ეს გრამატიკა არის ძველი ქართული ენის პირველი გრამატიკა.

მიუხედავად სხვა ენათა გრამატიკების გავლენისა და იმ შეცდომებისა, რომლებიც ანტონს არ შეეძლო არ დაეშვა ენათმეცნიერული აზროვნების იმდროინდელი დონის პირობებში, ანტონმა, თავისი განსაკუთრებული ენობრივი ინტუიციის წყალობით, შეამჩნია და აღნუსხა ქართული ბრუნება-უღლებებისათვის ნიშანდობლივი მნიშვნელოვანი თავისებურებანი.

ანტონის გრამატიკაში აღნუსხულია ქართული ენის ყველა ის გრამატიკული თავისებურებანი, რომლებიც ფაქტიურად დიდი ხანი არ არის, რაც მსჯელობის საგანი გახდა.

ფასდაუდებელია ანტონ ბაგრატიონის ღვაწლი მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში. მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეტად მნიშვნელოვანი თხზულება — „წყობილსიტყვაობა“.

ამ თხზულების ერთ-ერთი თავი — „თვის ქართველთა სიბრძნის მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა“ არის პირველი ცდა ქართული მწერლობის ისტორიის შექმნისა. ამ თავში წარმოდგენილი არიან ძველი ქართველი „მწიგნობარნი“, როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობიდან, დაწყებული მეხუთე საუკუნიდან და გათავებული ანტონის თანამედროვეებით.

ანტონმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის განვითარებაში. ანტონის დამსახურებაა, რომ პოეზიაში ის ავითარებს სამოქალაქო მოტივებს, ეხმაურება თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებს.

ანტონი, როგორც ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი, დიდად აფასებს ჩვენს მდიდარ მწერლობას და მათ შორის შოთა რუსთაველს. ამდენად მიუღებელია დებულება, თითქოს ანტონმა დაწყევლინა „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერები. ეს ბრალდება მას მიაწერეს მისმა პოლიტიკურმა მეტოქეებმა. ბოლო წლებში ანტონის პოეზიის საფუძვლიანმა შესწავლამ გამოავლინა ამ უმართებულო ბრალდების მცდარობა.

გერლინში გაცნობილი გიორგი, თენგიზი, სანდრო...

ბერლინის თეატრისა და მუსიკის მე-15 ფესტივალზე გერმანელი მეგობრების მიწვევით ჩავედი. ორ კვირას დავყავი ხელოვნების ამ უდიდეს ფორუმზე. შთაბეჭდილებები, რა თქმა უნდა, ძალზე დიდია. მოვიხიბლე ევროპის სახელგანთქმული თეატრების წარმოდგენებით, მოვუსმინე ჩვენი დროის გამოჩენილ მომღერლებსა და სიმფონიურ ორკესტრებს, კიდევ ერთხელ გავიხარე ელისო ვირსალაძის ნატიფ ხელოვნებასთან შეხვედრით, რომლის ოსტატობას ფესტივალის მონაწილეებმა საუკეთესო შეფასება მისცეს. თავისუფალ დროს მასპინძლების დახმარებით ვმოგზაურობდი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. და მაინც, ყველაზე დიდი მოგონება, რომელიც ბერლინიდან წამომყვა, იქ მცხოვრები ქართველი კაცის — გიორგი წულუკიძის ოჯახთან შეხვედრა გახლავთ...

ბრეხტის თეატრის „ბერლინერ ანსამბლის“ ერთ-ერთ სპექტაკლს ვესწრებოდი, ჩემმა ძველმა ნაცნობმა, ამ თეატრის რეჟისორმა ვოლფგანგ პინცმა მითხრა, მიკვირს თეატრში თქვენს თანამემამულეს, ბატონ გიორგის რომ ვერ ვხედავო... ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე და ვთხოვე, დაწვრილებით აეხსნა, ვისზე იყო ლაპარაკი.

— ოო... ბატონი გიორგი ძალზე საინტერესო კაცია, მთელ ბერლინში ცნობილი ექიმი, ხელოვნების დიდი მოყვარული. კვირა ისე არ გავა, ჩვენი თეატრის სპექტაკლს არ დაესწროს, სახლიც ძალზე ახლო აქვს და იქნებ ამიტომაც თითოეული ჩვენგანი პირადად იცნობს ამ სიმპათიურ ქართველსო. საუბრის დასასრულ მასპინძელმა გიორგი წულუკიძის ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა.

იმ დღესვე დავურეკე. გიორგი წულუკიძე გისმენთო, მითხრა გერმანულად. მე კი ქართულად ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი. შიში — ვაითუ დედაენა არ იცის-მეთქი, უსაფუძვლო გამოდგა. ბერლინელმა თანამემამულემ გამართული ქართულით დამიწყო საუბარი. არ გასულა ორი საათი და უკვე გიორგი წულუკიძის ოჯახის სასურველი სტუმარი ვიყავი. გავიცანი ქალბატონი რეგინა წულუკიძე, შვილები — 15 წლის თენგიზი და 8 წლის სანდრო. გავიცანი გიორგი წულუკიძის თმაჭაღარა დედა ქალბატონი ქრისტინე თოდუა.

ქრისტინე და მისი მეუღლე ბერლინში ამ 55 წლის წინათ ჩასულან. სწავლასმოწყურებულ ახალგაზრდებს მოლოდინი არ გაუმართლდათ — პატარა გიორგი ერთი წლისა იყო, როცა ქრისტინე დაქვრივდა. ახალგაზრდა ქალი სულიერად მაინც არ დაცემულა — სამედიცინო განათლება მიიღო და შვილიც გზაზე დააყენა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე გიორგი წულუკიძე ახლა მთელ ბერლინში ცნობილი დასტაქარია, ექიმია მისი მეუღლეც.

ოჯახში, როგორც წესი, ქართულად ლაპარაკობენ. ბებია მოთმინებითა და მონდომებით ახალგაზრდა შვილიშვილებს დედაენას. და თუმცა გიორგი წულუკიძე საქართველოში ჯერ არ ყოფილა, მაგრამ საქართველოს შესახებ ყველაფერი იცის, კითხულობს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. მასპინძელმა პირველი სასმისით საქართველოს სადღეგრძელო შემომთავაზა, გამომშვიდობებისასაც საქართველო ადღეგრძელა და ის დღე დაღოცა, მის მიწაზე ფეხს რომ დავადგამო.

— მალე ჩამოვალ საქართველოში, ძალიან მალე, — მითხრა გიორგიმ. — სამშობლოსთან შეხვედრამდე კი გულს აჭ. ბერლინში ჩამოსული ქართველების მასპინძლობით ვითხებო. მომიყვა — „გორდელას“ ბიჭებს ისე დავუმეგობრდი, მეუბნებოდნენ ჩვენი ანსამბლის სრულუფლებიან წევრად ჩაგრიცხავთო.

თვალი რომალისაკენ გამექცა. მასპინძელს ჩემი მზერა არ გამოჰპარვია. როიალს მიუჯდა და ისეთი პროფესიული ოსტატობით დაუკრა, რომ მე საკრავთან მისვლა ვეღარ გავბედე. ახლა კი ვნანობ: ერთი ქართული წაღიღინება ალბათ წულუკიძეების ოჯახს ძალზე გაახარებდა.

მაგრამ არა უშავს, ჩემო კეთილო მასპინძელო, ის რაც ბერლინში დაგვრჩა უთქმელი, აქ, თბილისში ვიტყვით, როცა შენს მეუღლესთან, შენს თენგიზთან და სანდროსთან ერთად გვესტუმრები!

ვახტანგ ნორაკიძე,

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის დირექტორის მოადგილე.

ბერლინი-თბილისი.

10 დღე გმირის საშობლოში



(დასასრული)

ტყვებით ქალბატონმა მაჭავარიანმა (სამწუხაროდ, მისი სახელი დამავიწყდა) ყოველ მათგანს თითო მშვენიერი ჩანთა გადასცა, რომელშიც ორორი ბოთლი საკუთარი ქართული კონიაკი და საკმაოდ ძვირფასი ხის ნაკეთობა იდო. როდესაც საჩუქარი ყველას ჩამოურიგა, დელეგაციის ხელმძღვანელს ერალდო გასტონეს მიუბრუნდა და დამატებით კიდევ ერთი ჩანთა გადასცა — ესეც იმ თქვენი მეგობრისათვის (მხედველობაში ჰყავდა ჩინო მოსკატელი), რომელიც, როგორც თქვენ დღეს ტელევიზიით გამოსვლისას ბრძანეთ, თქვენთან ერთად უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა.

ასეთი შემთხვევა იშვიათი როდი იყო. ორიოდე დღით ადრე იტალიაში მებრძოლი ქართველი პარტიზანი, ამჟამად რუსთავის ერთ-ერთი პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომელი გიორგი ნასარიძე მოვიდა და შეაყაცად ამაყე სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ბძანა კალანდარიშვილი მოიყვანა — გაზეთიდან გავიგე იტალიელი სტუმრები ხვალ რუსთავში აპირებენ ჩამოსვლას, სადილად ოჯახში უნდა მეწვიონ, სავზადისს უკვე შევუდექი და უარს ნუ მეტყვით.

უნდა გენახათ მათი შეწუხებული სახეები, როცა გაიგეს, რომ დროის სიმცირის გამო პროგრამა შეიცვალა და სტუმრები საერთოდ ვერ აბერებდნენ რუსთავში ჩასვლას.

ათი დღე მართლაც მცირე აღმოჩნდა იმისათვის, რომ ყველაფერი ენახათ, ყველას წინადადება მიეღოთ, თუმცა რამდენსმე ოჯახში მისვლა მაინც შეძლეს. არა მგონია, ჩვენს სტუმრებს ოდესმე დაავიწყდეთ ცნობილი მხატვრის კოპა გურულის, ძველანაგელი გრამატონ ზურაშვილისა და ზუგდიდელი რეზო ანთელავას ოჯახებში გატარებული მშვენიერი საღამოები, ან სადილი, რომელიც იტალიის ქალაქ ბორგოსეზიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მათ თვალწინ დაღუპული ჭართველი პარტიზანის მეგობარ ღურწკაიას ოჯახში, მის მშობლიურ სოფელ რუხში გაიმართა.

ყველას, მათ შორის სტუმრებსაც, თვალები აუცრემლდათ, როდესაც ზუგდიდში გამართულ ვახშამზე ზედიზედ დგებოდნენ იტალიაში მებრძოლი ქართველი ვაჟკაცები, ერალდო გასტონესა და ჩინო მოსკატელის ყოფილი თანამებრძოლები, ამჟამად რიგითი კოლმეურნეები თუ მუშები, უბრალო საბჭოთა ადამიანები და იტალიურად, თარჯიმნის დაუხმარებლად წარმოთქვამდნენ მგზნებარე სადღეგრძელოებს...

ყველაფერი ეს კოლიბეში ხდებოდა და, შეიძლება იმიტომაც უფრო საინტერესო იყოს ჩვენი მკითხველისათვის. ამ მაგალითებით იმის თქმა მსურდა, რომ ყოველ ქართველს გულით სწადდა პატივი ეცა იტალიელი პატრიოტებისათვის, მოზვეოდა, მოჭერებოდა მათ. ამას თვითონაც ყოველ ნაბიჯზე კარგად გრძნობდნენ. გულახდილად გითხრათ, ყველაზე მეტად, ალბათ, ეს მე მახარებდა. მახარებდა იმიტომ, რომ მათ ჩამოსვლაში მცირე წვლილი მეც მიმიძღოდა — ამ ვიზიტს ხომ ჯერ კიდევ თებერვალში, ფორე მოსულიშვილის საქმეებზე ჩემი და ჟურნალისტ ედუარდ სიხარულიძის იტალიაში ყოფნის დროს ჩაეყარა საფუძველი.

და ეი ასე მოხდა, რომ ისინი თბილისში ჩამოვიდნენ, მაგრამ არც მე და არც ედუარდი საქართველოში არ აღმოვჩნდით. მხოლოდ მეწუთე დღეს ჩამოვუსწარი მათ. ამ დროისათვის იტალიელ მეგობრებს უკვე მოევლოთ სიღნაღი და თელავი და, რაც მთავარია, იყვნენ იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის სამშობლოში — ქვემო მაჩხაანში. ეს იყო მათი ჩამოსვლის ძირითადი მიზანი, მათი ოცნება — ენახათ და გულში ჩაეკრათ გმირის მოხუცი დედა თებრო, გაეცნოთ მისი და-ძმები, თანასოფლელები.

ძვირფასო ფორეს დედავ! — მიუმართავს მოსულიშვილების ეზოში გამართულ მიტინგზე ერალდო გასტონეს ქალიშვილ თებროსათვის. — მრავლად ჩვენი გრძნობების გადმოცემა ასლა, როცა ვიმყოფებით გმირის მშობლიურ სახლში. თქვენ ბრძანეთ, რომ ძალიან დიდხანს ელოდით შვილის დაბრუნებას. ეს მართლაც მძიმეა და ვიზიარებთ ამ დიდ მწუხარებას. მაგრამ ჩვენ ასეთი დიდი გზა იმიტომ გამოვიარეთ, რომ თქვენთვის გვეთქვა: ფორე ცოცხლობს ყველა იტალიელის ხსოვნაში!

უსაზღვრო მადლობას გამოხატავდნენ ჩვენი სტუმრები იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მათ თბილისში ჩამოსვლის მეორე დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოეწყოს. სწორედ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ განსაკუთრებული სითბო ჩააქსოვა სიტყვებში, როცა ამბობდა: — „მადლობას გიძღვნით ფორე მოსულიშვილის საბრძოლო დამსახურების მაღალი შეფასებისათვის, მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით ყველას, ვინც იზრუნა ფორე მოსულიშვილის ხსოვნის უკვდავყოფისა და მისთვის იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდების მინიჭებისათვის.“

და მართლაც მთელი საქართველო უხდიდა მადლობას იტალიელ პატრიოტებს, ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ქართველი კაცის სახელის უკვდავსაყოფად. თუმცა, როგორც სტუმრები ამბობდნენ, სწორედ იმიტომ ჩამოვიდნენ საქართველოში, რომ თვითონ ეთქვათ დიდი მადლობა იტალიის თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ვაჟკაცების თავდადებისათვის, ფორე მოსულიშვილისა და სხვა საბჭოთა გმირების თავგანწირვისათვის.

ყველგან, სადაც კი იყვნენ — თბილისში, სიღნაღში, თელავში, გორში, ცხაკაიაში, ხობში, ზუგდიდში, წყალტუბოსა თუ ქუთაისში, კოლმეურნეობასა თუ ქარხანაში, მუზეუმსა თუ უმაღლეს სასწავლებელში, ყველგან სავსე გულით, სიხარულით ეგებებოდნენ ძვირფას სტუმრებს. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო მათი შეხვედრები თავიანთ ყოფილ თანამებრძოლებთან — იტალიაში მებრძოლ ქართველ პარტიზანებთან. მათთვის აღმოჩენა იყო, მაგალითად, იმის გაგება, რომ ფორე მოსულიშვილის თავდადების უშუალო მოწმენი, ქართველი პარტიზანები, 1944 წლის 3 დეკემბრის იმ საბედისწერო დღეს გერმანელებმა ტყვედ რომ ჩაიგდეს, ცოცხლები არიან და რაღაც სასწაულით დახვრეტას გადაურჩნენ. ეს ამბავი მაინც მხოლოდ მაშინ დაიჯერეს, როდესაც ექვსიდან სამს პირისპირ შეხვდნენ — ბრეთელ შაქრო თომაშვილს აქ, თბილისში, ინგირელ ვლადიმერ ჭეჭიას — ზუგდიდში, ხოლო შალვა კვირიკაშვილს — ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

ეს ვიზიტი სტუმრებისათვის იმითაც იყო სასარგებლო, რომ ისინი გაეცნენ და განეცვიფრდნენ ჩვენი ხალხის ცხოვრების დონით, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, კულტურის, განათლების დარგებში მიღწეული წარმატებებით, და ამას აღნიშნავდნენ არა მარტო დელეგაციის კომუნისტი წევრები, — პარლამენტის დეპუტატი ერალდო გასტონე და ქალაქ კასტელეტო ტიჩინის მერი ალბანო ვალენტი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე მაურო გალეონი და ჟურნალისტი ეცინო რინდონიონი, არამედ (და განსაკუთრებით) სხვა პარტიების წარმომადგენლებიც — იტალიის სოციალისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი დოქტორი ალბერტო იაკოვიელო, სოციალისტი, მსოფლიო სახელის მეცნიერი, ექიმი-პედიატრი, პროფესორი პიერო ფორნარა, სოციალ-დემოკრატი, არქიტექტორი გრუპი რიგუორ არიგო და სხვები.

ამ ხალხს — კომუნისტებს, სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებს, ქრისტიან-დემოკრატების ომის დროს, საერთო მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთი მიზანი ამოძრავებდათ. სასიხარულია, რომ 26 წლის შემდეგ მათი ქვეყნის თავისუფლებისათვის დაცემული ქართველი გმირის მოგონება, მის სამშობლოში — საბჭოთა საქართველოში ჩამოსვლა საბაბი გახდა მათი კვლავ დაახლოებისა, საერთო საქმის — მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში მათი რიგების შემჭიდროებისა.

ვახტანგ ესვანჯია



სურათებზე: ზევით — იტალიელი სტუმრები კოპა გურულის ოჯახში. ქვევით — გამოთხოვება ქუთაისის აეროდრომზე.

ედუარდ გიგილაშვილისა და ავტორის ფოტო

კვითილი სიცყვა სამშობლოზე



უკვე ორი თვეა სახელოვანი ქართველი ოქროსმჭანდაკებლის კობა გურულის ჰედური ნამუშევრები ევროპაში მოგზაურობენ. 18 სექტემბერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბუდაპეშტში გაიხსნა მის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, ხოლო 1 ნოემბრისათვის გამოფენამ დასავლეთ ბერლინში გადაინაცვლა.

ავტორი ბუდაპეშტში და ბერლინში თვითონ ესწრებოდა გამოფენების გახსნას.

„სამშობლოს“ მკითხველებს ვთავაზობთ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კობა გურულის საუბარს ჩვენს კორესპონდენტთან.

● როგორია თქვენი განწყობილება ახლა, მეორკაში პირველი პერსონალური გამოფენის შემდეგ?

თითქოს სტუდენტი ვიყო, მომლოდინე ძნელი გამოცდისა, სტუდენტი, რომელმაც ერთი გამოცდა ჩააბარა, მაგრამ წინ კიდევ მრავალი გამოცდა ელის.

● როგორ მიიღო ბუდაპეშტმა ქართული ლიტონმჭანდაკებლობა?

თვით იმ მხატვრებსა და მხატვრულ საზოგადოებებში, რომლებიც თავს თანამედროვე აბსტრაქტული თუ მოდერნული ხელოვნების მიმდევრებად თვლიან, იგრძნობა ლტოლვა და სიმპათიები ეროვნულის მიმართ. ხოლო რამდენადაც ქართული ლითონმჭანდაკებლობა ცდაა ძველი ოქროსმჭანდაკებლობის ტრადიციების გაგრძელებისა და თავის მხატვრულ არსში აზიურ-აღმოსავლური ტემპერამენტითა და ცეცხლით სუნთქავს, ბუდაპეშტმაც, რომელიც თავის ისტორიულ ფესვებს აღმოსავლეთში ეძებს, ჩემი შემოქმედება მოწონებით მიიღო.

● თუ იყო რაიმე ცვლილება ამ მხრივ დასავლეთ ბერლინში?

ფინალი ორივეგან ერთნაირი გახლდათ. უნგრელებმაც და გერმანელებმაც მიიღეს ქართული ლითონმჭანდაკებლობა და იწამეს ჩვენი უძველესი ხელოვნება. თუმცა დასავლეთ ბერლინში თავდაპირველად უხდომლად შემხვდნენ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მათ არა აქვთ სწორი ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის შესახებ. დასავლეთ ბერლინში ახლად ჩასული ვიყავი, როდესაც გერმანელი პროგრესული პოეტის ფოლკერ ფოხტერნეს ოჯახში შევხვდი გრაფიკოსა და პოლიგრაფიული სწავლების ინსტიტუტის გრაფიკის კათედრის გამგეს, ახალგაზრდა, განათლებულ პროფესორს. მან, სამწუხაროდ, თითქმის არაფერი იცოდა საქართველოს მდიდარი კულტურის შესახებ და ასე მითხრა. რა აზრი აქვს თქვენი გამოფენის ნახვას, იქ, ალბათ, მხოლოდ დროები და თანამედროვე ხარაღების ნიმუშები გეჩვენებათო. მაგრამ მაინც მოვიდა გამოფენაზე, რომელიც მისთვის სასიამოვნო სიურპრიზი გახდა, ვიხიდან ნამუშევრებში ამოიცნო ხალასი ეროვნული შემოქმედება. პროფესორმა შემდეგ ინსტიტუტში მიმიწვია და გული მეგობრულად გამიხსნა. წამოსვლისას ვითხრა: ჩვენ ძალიან ახლოს უნდა ვიყოთ ერთმანეთთანო. ჩემი სათქმელი თვითონვე თქვით და მაშ რაღა გვაშორებს-მეთქი, წვითხე: სწორი ინფორმაციის უქონლობაო, გულდაწყვეტით მომიგო მან.

● როგორ იცნობენ ქართულ ხელოვნებას უნგრელები და გერმანელები?

ბუდაპეშტში ოქროსმჭანდაკებლობასა და ქართულ სახვითს ხელოვნებას კარგა ხანია იცნობენ და დიდი სიყვარულითაც ეკიდებიან. ამაში მაშინვე დავრწმუნდი, როგორც კი ფეხი მრავალჯერნახულ უხგრეთის მიწას დავადგი. ყველგან, სადაც კი მივედი, მესმოდა სალეები ჩვენთვის ასე ნაცნობი და ახლობელი ნიკო ფიროსმანისა, ლადო გუდიაშვილისა, დავით კაკაბაძისა და სხვათა. ბედნიერი ვიყავი, რომ ჩვენი დიდი წინაპრების ნაკალევზე მიხდებოდა გავლა და წინ მათი კეთილი საქმეები მხვდებოდა.

დასავლეთ ბერლინში „მაიაკოვსკი გალერეის“ საგამოფენო დარბაზში მოდიოდა ახალგაზრდა გერმანელი — ინტელიგენტები, სტუდენტები, მუშები, ვგრძნობდი, რომ თითოეული კარგად ერკვეოდა მხატვრობაში. პირველ ორ დღეს გამოფენა 600-ზე მეტმა გერმანელმა დაათვალიერა ამ გამოფენის შესახებ წერდა ხუთი გერმანული გაზეთი, მათ შორის ცენტრალური გაზეთი „შპიგელიც“.

● რომელ ნამუშევრებს ხვდა ყველაზე მეტი წარმატება?

ბუდაპეშტში ექსპოზიციის მიხედვით წამყვან ადგილზე გამოიფინა თამარის, დავითისა და შოთას პორტრეტები. მაყურებლის ჩანაწერებითა და პირადი საუბრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კიდევ „ძახილი უდაბნოში“. „შენ ხარ ვენახი“, „აღმოსავლეთი“ და „ჩურჩხელები“ მოსწონდათ.

ასე იყო დასავლეთ ბერლინშიც. ჩიენწოთ ყველა ნამუშევარი, რასაც ეროვნული ელფერი დასჩერვალდა. პროგრესულად მოაზროვნე ევანგელისტებმა გამოფენა თავიანთი საზოგადოების დარბაზში გადაიტანეს. მთხოვეს, რაიმე გავაკეთო მათთვის. — გერმანიის დედა! ახე დავარქმევ, ალბათ, ჩემს ახალ ნამუშევარს.

● პერსონალური გამოფენები დასავლეთ ევროპაში მხატვრის დიდი აღიარებაა. რაზე მიგანიშნებთ ეს?

იგი მმატებს მხნეობას, ძალასა და გამბედაობას მომავალი შემოქმედებითი შრომისათვის, მაკისრებს მეტ პასუხისმგებლობას და კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ხაზი, რომელიც ეროვნულ ფესვებზე დაყრდნობით ინდივიდუალობის გამოვლენას ითვალისწინებს, სწორია ყველა ჭეშმარიტი ხელოვანისათვის ყველა დარგში.

ხოლო სამშობლოს თუ ეს გამოფენები და მთელი ჩემი შემოქმედებითი მცდელობა ერთ კარგ სიტყვას მაინც ეტყვის. სიხარულით ბედნიერი ვიქნები.

და კიდევ ერთი, უზომოდ გამახარა ჩემი მეგობრის ცნობილი ქართველი ოქროსმჭანდაკებლის ირაკლი ოჩიაურის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოებამ. გამახარა იმიტომ, რომ ეს ოპიზართა უძველესი ხელოვნების ჭეშმარიტი აღორძინების აღიარებაა.

ეს ამბავი დასავლეთ გერმანიიდან ჩამოსვლისთანავე შევიტყე და მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მხურვალედ მივულოცო ბრწყინვალე გამარჯვება შესანიშნავ ქართველ მხატვარს.

საუბარი ჩაწერა
ჯემალ ქურხულმა

იაპონიაში

ამას წინათ იაპონიის ქალაქ სენდაიში დამთავრდა ჰეტეროციკლური ნაერთების ქიმიის მე-8 საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ ლალიძე.

ჩვენი თანამემამულე ხელმძღვანელობდა ალკალოიდების სექციას. ამავე სექციის სხდომაზე იგი გამოვიდა მოხსენებით — „არგემონინის ზოგიერთი ახალი ანალოგის სინთეზი“, რომელიც დიდი ინტერესით მოისმინეს და რომელიც სხდომის თავმჯდომარემ პროფესორმა ვოლმა (ამერიკის შეერთებული შტატები) საუკეთესოდ შეაფასა.

ქართველმა მეცნიერმა სამშობლოში დაბრუნებისას განაცხადა, იაპონელები, განსაკუთრებით ახალგაზრდები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი და ყველგან თავაზიანად გვხვდებოდნენო.

პოეტის ხსოვნას



ქართულმა საბჭოთა მწერლობამ, მთელმა ჩვენმა კულტურამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტი, ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალიო მირცხულავა, რომელმაც თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მრავალი მაღალმხატვრული ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა.

ალიო მირცხულავა, როგორც პოეტი, განსახლებული საქართველოს, საბჭოთა საქართველოს თანატოლია. იგი იყო საყვარელი სამშობლოს ჭეშმარიტად შთაგონებული მომღერალი, მისი თანამდევი ჭირსა და ლხინში, შრომასა და ბრძოლაში, მისი ფიქრების, მისწრაფებათა, ოცნებათა გამომხატველი.

ჭეშმარიტი პოეტები არ კვდებიან. ალიო მირცხულავა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის ხსოვნაში!



ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნა ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი. მისი ავტორია მოქანდაკე ლევან მხეიძე.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

სპორტი

რუსუდანის ვერცხლი

ჭაში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. მრავალჭიდში მეორე ადგილზე გამოვიდა ბათუმელი რუსუდან სიხარულიძე.

შხარაზე — ურთულესი გზით

ნლევანდელი სეზონი ქართველი მთამსვლელების ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. საქართველოს ალპინისტთა ნაკრებმა ცნობილი სპორტსმენები, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონებისა და პრიზიორების შოთა მირიანაშვილის (გუნდის კაპიტანი), გიორგი აბაშიძის, დმიტრი დავაძის, ოთარ ხაზარაძისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ალიოშა გავაშელის შემადგენლობით შეასრულა სარეკორდო ასვლა კავკასიონის ერთერთ შუაღლის და ურთულეს მწვერვალ დასავლეთ შხარაზე (5.058 მეტრი). მწვერვალი მამაცმა ალპინისტებმა დალაშქრეს ახალი, მანამდე დაუძლეველი გზით — სამხრეთ-აღმოსავლეთის კლდოვან-ყინულოვანი შვეული კედლით, რომლის სიმაღლე 2000 მეტრს აღემატება.

პოლონეთის ჩემპიონი გორიდან

ქართველი ძიუდოისტები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ საერთაშორისო სარბიელზე. ამიტომაც იყო, რომ პოლონეთის სტუდენტთა ღია ჩემპიონატში სხვებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც მიიწვიეს. გდანსკში გამართულ შეჯიბრებაში თავი ისახელა გორელმა მოჭიდავემ ჩოჩიშვილმა, რომელმაც პოლონეთის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა, ფინალში საქართველოს წარგზავნილმა იაპონელი ნაკამურუ დაამარცხა.

ლოსაბერიძის მსოფლიო რეკორდი

ლვოვში გამართულ მშვილოსანთა შეჯიბრებაზე თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ქეთევან ლოსაბერიძემ და ლუბოვ ასატუროვამ. 50 მეტრზე სროლაში ლოსაბერიძემ 310 ქულა მოაგროვა და 5 ქულით გადააჭარბა ამერიკელ მირიკის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. რაც შეეხება ასატუროვას, მან საბოლოოდ „მ-2“ ვარჯიშში 2289 ქულა მოაგროვა და სპარტაკიადის ჩემპიონმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაშიც პირველობა დაისაკუთრა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლოსაბერიძე. მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჩენკო მესამე ადგილს დასჯერდა.

მიხეილ ხერგიანის პრიზი

ცნობილ ქართველ სპორტსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიხეილ ხერგიანს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა მთამსვლელობის განვითარებაში. მიხეილ ხერგიანი იყო ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, მას ეკუთვნის ბევრი სარეკორდო მიღწევა მეკლდეურობაში.

სახელგანთქმული სპორტსმენის ხსოვნის უკვდავსაყოფად, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა შემოიღოს მიხეილ ხერგიანის სახელობის გარდამავალი პრიზი, რომელიც გადაეცემა წლევანდელ ფინალურ ჩემპიონატში საუკეთესო ჩემპიონატში საუკეთესო პირადი მიღწევის მფლობელს.

შაშუარზე შემნევარი გრჭე

საშუალო სიდიდის გასუფთავებულ, გარეცხილ მთელ გოჭს წაუსვით მარილი მუცლის ღრუში და კანზე. მუცლის ღრუ ამოავსეთ სატენით და გაკერეთ მსვილი ძაფით. შემდეგ გოჭი ხის შამფურზე წამოაგეთ მთელი სიგრძით, თავი და ფეხები დაუმაგრეთ კანაფით. შეწვით ნაკვერჩხალზე შამფურის ტრიალით. წვის პროცესში ხანგამოშვებით კანზე უსვით კარაქი ან მარილწყალგარეული ერბო. გოჭი შეგიძლიათ შეწვათ უსატენოდაც.

სატენის მომზადების წესი

პირველი ვარიანტი: *კარგად გარეცხილი გოჭის შიგნეული (გული, ღვიძლი, თირკმლები) ნახევრად მოხარშეთ და დაჭერით პატარა ნაჭრებად. დაუმატეთ ჭყინტი ყველი (შვიდასი-რვაასი გრამი), უყავით თქვენს გემოზე წვრილად დაჭრილი ტარხუნა (ნედლი ან გამხმარი), დანაყილი წიწაკა, მარილი და აურიეთ.*

მეორე ვარიანტი: *გადარჩეული და გარეცხილი ბრინჯი (ერთნახევარი ორი ჩაის ჭიქა) ნახევრად მოხარშეთ და გადაიტანეთ თუშფალანგში, რომ სითხისაგან დაიწრიტოს. შემდეგ ბრინჯს დაუმატეთ დანაყილი ნიორი (ორი კბილი), ჭინძი (ხუთი ღერი), ხმელი სურნელი (ორი ჩაის კოვზი), მაგრად მოხარშული მთელ-მთელი კვერცხი (ოთხი ცალი) ან დაჭრილი კვერცხი. უყავით თქვენს გემოზე დანაყილი პილპილიც, წვრილად დაჭრილი ტარხუნა (ნედლი ან გამხმარი), მარილი და აურიეთ.*

მესამე ვარიანტი: *გოჭის გული, ღვიძლი, თირკმლები, ფილტვები მოხარშეთ ნახევრად და დაჭერით პატარა ნაჭრებად. შეურიეთ დანაყილი ჭინძის თესლი (ერთი ჩაის კოვზი), ხმელი სურნელი (ორი ჩაის კოვზი). უყავით თქვენს გემოზე დაჭრილი ტარხუნა, დანაყილი წიწაკა, პილპილი, ბროწეულის მარცვლები და მარილი. დაუმატეთ ერთად დანაყილი ნიგოზი (ერთი ჩაის ჭიქა), ნიორი (სამი კბილი), ჭინძი (სამი ღერი), მარილი და კარგად აურიეთ.*

უცხოეთში მცხოვრებო თანამემამულენო, გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველნო!

ცხადდება ხელმოწერა 1972 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე“.

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსა და ყველა მოქალაქეს, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია გამოიწეროს გაზეთი „სამშობლო“ საზღვარგარეთის იმ ფირმებში, სადაც არსებობს საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის“ (v/a „Mezhdunarodnaya Kniga“) წარმომადგენლობა და ფორმდება ხელმოწერა საბჭოთა გამოცემებზე.

გაზეთის ერთი წლით გამოწერა ღირს 2 ამერიკული დოლარი.

სხვა ქვეყნების ვალუტით გამოწერისას გაზეთის ღირებულება იანგარიშება ხელმოწერის დღეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შეგახსენებთ!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა — გაზეთი „სამშობლო“ გამოდის თვეში ორჯერ ყოველი თვის მე-2 და მე-4 კარასკევს. რას გვერდად. იგი ასახავს ჩვენი დედასამშობლოს კულტურულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ ცხოვრებას, აშუქებს ლიტერატურის, ისტორიის, სპორტის, ქართული ზნე-ჩვეულების, უოფა-ცხოვრების საკითხებს.

არ დაგავიწყდეთ გაზეთ „სამშობლოს“ დროულად გამოწერა!

დაგეძებენ, მოგველიან

ავთანდილ გიორგის ძე ცაბაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ქალაქ თბილისში, ეძებენ დედა — **მარიამ**, მამა — **გიორგი ცაბაძეები**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, იოსელიანის ქუჩა № 30.

ალექსანდრე კარაპეტის ძე ბერიაშვილს,

დაბადებულს 1925 წელს ქალაქ თბილისში, ეძებენ დედა — **მარიამ**, დები — **ციალა, ეუფუნა ბერიაშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, საკაძის ქუჩა № 137.

ლადო ვარლამის ძე კალანდაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ მეწიეთში, ეძებენ დები — **ეუტუ, ნინო, ლუბა, მადონა**, ძმები — **სანდრო** და **ლეო კალანდაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, შეროზიას ქუჩა № 6.

ირაკლი მიხეილის ძე არახამიას,

დაბადებულს 1921 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში, ეძებენ მამა — **მიხეილ**, დედა — **ქალინა**, და — **ძაბული**, ძმები — **ანზორ, კონდრატე, რეზო**, დაკრძალული **არახამიები**, მცხოვრებნი სოფელ ხაბუმეში.

ძმებს ბერენტი და არქიპო პეტრეს ძე ჯალაღონიებს,

დაბადებულთ 1909 და 1912 წლებში ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კორცხში, ეძებენ დედა — **მაშო**, ტერენტის მეუღლე — **თამარი**, შვილი — **გენო**, არქიპოს მეუღლე — **პისტი**, შვილი — **ომარ**, დები — **ცაცა, ლიდა, თალიკო**, ძმა — **ჯოტო ჯალაღონიები**, მცხოვრებნი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში.

სერგო კონსტანტინეს ძე შაშათავას,

დაბადებულს 1910 წელს თბილისში, ეძებენ მეუღლე — **ეენია**, შვილები — **გაიოზ, გუგული, ჯემალ შაშათავები**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, კნოლევის (ყოფილი დეპუტატის) ქუჩა № 28.

ძმებს ვლადიმერ და ალექსი სტეფანეს ძე ამირბეგებს,

დაბადებულთ 1919 და 1920 წლებში ონჰმჩირის რაიონის სოფელ ჯგერდაში, ეძებენ დედა — **მაიონა**, მამა — **სტეფანე**, ალექსის მეუღლე — **ლენა**, შვილი — **ლოვა**, და — **კატო**, ძმები — **ნიკოლოზ** და **გრიშა ამირბეგები**, მცხოვრებნი ქალაქ ონჰმჩირეში, თბილისის ქუჩა № 15.

ძმებს ნიკოლოზ და კონსტანტინე ვანოს ძე მაისურაძეებს,

დაბადებულთ 1921 და 1922 წლებში ონის რაიონის სოფელ ქვედაში, ეძებენ დედა — **მაშიკო**, დები — **ელიბო, ნინო, პოპინა მაისურაძეები შვილებით**, მცხოვრებნი თბილისში, სანერგის ქუჩა, I შესახვევი, № 21.

ძმებს შოთა და ვახტანგ ჰამაიაკის ძე ლომუაშვილებს,

დაბადებულთ 1919 და 1921 წლებში ხაშურში, ეძებენ დედა — **სათო (სოფიკო)**, და — **ალექსანდრა ლომუაშვილები**, მცხოვრებნი ქალაქ ხაშურში, რუსთაველის ქუჩა № 45.

გოგია (გიორგი) მიხეილის ძე ოსიყმიშვილს,

დაბადებულს 1921 წელს სავარეჯოში, ეძებენ დედა — **ელენე**, ძმა — **ილია ოსიყმიშვილები**, მცხოვრებნი სავარეჯოში, გორკის ქუჩა № 21.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188

ფასი 5 კაპ.